# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 5 სექტემბერი 1996 №89 (314) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ხახალეიშვილი იჭიდავებს: ძიუდოსაც, სამბოსაც, კეტჩსაც!

25 წლის ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონმა და ატლანტის ტრაგიკულმა გმირმა დავით ხახალეიშვილმა გაფანტა ჭორი იმის თაობაზე, ჭიდაობას თავს ანებებსო.

ხახალეიშვილს გუშინ დავუკავშირდით. გვაცნობა, 23 ოქტომბერს იაპონიაში მივემგზავრები, სადაც კეტჩის ტურნირში მივიღებ მონაწილეობასო. დათო ამომავალი მზის ქვეყნიდან შინ არ გამოიჩქარებს და ნოემბრის დასაწყისში ჩაებმება სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატში — ამ შეჯიბრებაზე ხახალეიშვილს პერსონალური მიწვევა თავად სამბოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს გამოუგზავნია. 18 ნოემბერს კი ჩვენი ფალავანი თავის ძირითად საქმიანობასაც — ძიუდოს მიუბრუნდება — ტოკიოში გამოვა ძიგარო კანოს სახელობის საერთაშორისო ტურნირზე. არ არის გამორიცხული, ხახალეიშვილმა ოქტომბრიდანვე დაიწყო ჭიდაობა — ეს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის გუნდურ პირველობაში.

ხახალეიშვილმა ისიც გვაცნობა, რომ, შესაძლოა, ცოტა ხანში თბილისში გადმოვიდეს სამუშაოდ და საცხოვრებლად. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება — ქუთაისში ხომ ძიუდოს სავარჯიშო დარბაზი პრაქტიკულად არ არის, აქ კი ოლიმპიურ ჩემპიონს მზადების უკეთესი პირობები ექნება.

## ხაბარელი ნაკრებში?



მოგეხსენებათ, ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერდია გუგავა თანამდებობიდან გადადგა. ამჟამად გუნდი უმეთაუროდაა. როგორც შევიტყვეთ, ამ პოსტზე დანიშვნის ერთადერთი და რეალური კანდიდატია ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი. იგი ერთხელ, 1986-91 წლებში უკვე თავკაცობდა საქართველოს ნაკრებს და ჩვენს ძიუდოს ყველაზე მეტი წარმატება სწორედ იმ პერიოდში ჰქონდა. ამჟამად ხაბარელი ერთ-ერთი კერძო უმაღლეს სასწავლებელში პრორექტორობს.

## დინამო — ბათუმი გადაიდო

**საქართველოს ჩემპიონატის კალენდრით დაგეგმილი 6 სექტემბრის მეექვსე ტურის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და „ბათუმს“ შორის გადაიდო ორივე კლუბის ხელმძღვანელთა შეთანხმებით. მიზეზი ის გახლავთ, რომ „დინამოს“ და „ბათუმს“ 10 და 12 სექტემბერს უეფას და თასების თასეზზე აქვთ ხათამაშო და, ეტყობა, მწვრთნელებმა ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად ასე არჩიეს.**

## ძველმა ახალს მოუგო

წუხელ

ფარერის კუნძულების ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის VI შესარჩევ ჯგუფში ესპანეთს უმასპინძლა. 38-ე წუთზე ლუის ენრიკემ გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმის პირველსავე წამებზე მასპინძლებმა იონსონის დარტყმით გაქვითეს, მაგრამ 71-ზე იოჰანსენმა საკუთარ კარში, 85-ზე იერომ, 64-ე, 84-ე და 87-ზე კი ალფონსომ კიდევ ხუთი დაამატეს. ბოლო წამს ფარერების სწრაფმა კონტრშეტევამ და არგეს ზუსტმა დარტყმამ ანგარიში 2:6 გახადა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუგოსლავია** | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| **ესპანეთი** | 1 | 1 | 0 | 0 | 6:2 | 3 |
| **სლოვაკეთი** | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| **ჩეხეთი** | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| **მალტა** | 1 | 0 | 0 | 1 | 0:6 | 0 |
| **ფარერები** | 3 | 0 | 0 | 3 | 4:11 | 0 |

გაიმართა ორი ამხანაგური მატჩი. ზაბჟეში ჩვენი ნაკრების მომავალმა მეტოქე პოლონეთმა გერმანიასთან 0:2 წააგო. ბურთები ბირჰოფმა (29) და კლინსმანმა (89) გაიტანეს. იაბლონეცში ჩეხეთმა 2:1 დაამარცხა ისლანდია — გუდიონსონის (42) გოლს კუკამ ორით (54, 64) უპასუხა.

ინგლისში მე-4 ტურის მატჩები ასე დამთავრდა: არსენალი — ჩელსი 3:3, ბლექბერნი — ლიდსი 0:1, სანდერლენდი — ნიუკასლი 1:2, უიმბლდონი — ტოტენჰემი 1:0, ქოვენთრი — ლივერპული 0:1, დერბი ქაუნთი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:1, ევერტონი — ასტონ ვილა 0:1, მიდლსბრო — ვესტ ჰემი 4:1, საუთჰემპტონი — ნოტინგემი 2:2

### საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასკომის

# განცხადება

**1996 წლის 30 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში ატლანტის ოლიმპიური თამაშების შედეგების განხილვისას საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა კახი ასათიანმა განაცხადა: „ჟურნალისტებმა სამარცხვინო გახადეს ყველაფერი. ფული რომ აიღონ, ყველაფერს კადრულობენ“.**

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასკომი ასეთ განცხადებას, კონკრეტული ფაქტების დაუსახელებლად, მიუღებლად მიიჩნევს და მოითხოვს საჯარო განმარტებას.**

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასკომი

# ჩვილი ბავშვები არ ვართ

საქართველოში ყველაზე დაბალ ღობედ სპორტული ჟურნალისტები მიაჩნიათ. ყოველ შემთხვევაში, ფაქტები ამაზე მეტყველებენ. ვისაც არ ეზარება, სპორტულ ჟურნალისტს აკრიტიკებს, მათ თვალში ბეწვს ხედავს, საკუთარში კი დირესაც ვერა.

— ჰა, ჰა, ჰა! — ქირქილებენ ისინი, თუ სპორტულ გაზეთში კორექტურულ შეცდომას აღმოაჩენენ (არადა, კორექტურული შეცდომა გაზეთის მუშაობის შეფასებისას ყველაზე უმნიშვნელო კრიტერიუმად ითვლება).

— ჰა, ჰა, ჰა! — ხითხითებენ ისინი, როცა სპორტულ გაზეთში უნებლიე შეცდომას იპოვნიან.

— ჰა, ჰა, ჰა! — მთლად სიცილით ბჟირდებიან, როცა მთელი ღამის დამაშვრალ ჟურნალისტებს გათენებისას გაზეთის გამოსვლის თარიღის შეცვლა გადაავიწყდებათ.

მადლობა ღმერთს, ეს მოხითხითე ხალხი ბევრი არ არის!

მადლობა ღმერთს, უმეტესობა აფასებს სპორტული ჟურნალისტების გარჯას, როცა ღამის 2-3 საათზე დამთავრებული ფეხბურთის მატჩის ანგარიშს დილის 8 საათზე გაზეთში კითხულობს.

მადლობა ღმერთს, ის ჩაბჟირებული ხალხი სპორტულ გაზეთში უარეს შეცდომას ვერ პოულობს.

რას იზამთ, სპორტული ჟურნალისტიც ჩვეულებრივი ადამიანია და როგორც ყველა, ზოგჯერ ისიც ცდება.

ყველა ჟურნალისტის დაჩაგვრას ცდილობსო, ზემოთ ვთქვით.

აბა, დაჩაგვრა არ არის, როცა ათასი ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საშვების მქონე სპორტულ ჟურნალისტს სტადიონზე არ შეგიშვებენ?

აბა, დაჩაგვრა არ არის, როცა სპორტულ ჟურნალისტს მორიდებული პროტესტის მერე პოლიცია საშიში ბოროტმოქმედივით ხელების გრეხით სტადიონიდან „გააბრძანებს“?

აბა, დაჩაგვრა არ არის, როცა ატლანტის ოლიმპიური თამაშების შედეგებზე მსჯელობისას სპორტულ ჟურნალისტს, მათ შორის „სარბიელიდან“, არცერთ ინსტანციაში არ მიიწვევენ.

აბა, დაჩაგვრა არ არის, როცა იქ, სადაც სპორტული ჟურნალისტები უნდა მიიწვიონ, მათ ივიწყებენ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე მწერალ ჟურნალისტებს კი საგანგებოდ ეპატიჟებიან?

რაც მოგივა დავითაო და, ყველაფერი ახია ჩვენზე...

უარესიც უნდა დაგვემართოს.

და დაგვემართა კიდეც

თურმე სპორტული ჟურნალისტები ქრთამს ვიღებთ. ამაში დაგვადანაშაულა კაცმა, რომლისგანაც მსგავს ბრალდებას არაფრით ველოდით (არც სხვისგან) — საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს წარგზავნილთა გამოსვლების შედეგების მოსმენისას ბატონმა კახიმ ბრძანა, „ჟურნალისტები, ფული რომ აიღონ, ყველაფერს კადრულობენ“.

არა, ბატონ კახის არ დაუკონკრეტებია, ნათქვამი სპორტულ ჟურნალისტებს ეხებოდათ თუ ზოგადად ჟურნალისტებს, მაგრამ რაკი იმ საპარლამენტო კომიტეტის მოსმენისას საუბარი მხოლოდ ოლიმპიური თამაშების შედეგებზე და ამასთან დაკავშირებით სპორტულ ჟურნალისტებზე იყო, ესე იგი, მას მხედველობაში ვერაფრით ექნებოდა, ვთქვათ, პოლიტიკის ან სოფლის მეურნეობის საკითხებზე მწერალი ჟურნალისტი.

ბატონ კახის არც კონკრეტულად დაუსახელებია ის ჟურნალისტები, ვინც „ყველაფერი იკადრეს“. არც ის განუმარტავს, „ყველაფრის კადრებაში“ მექრთამეობაც იგულისხმებოდა თუ არა, მაგრამ რაკი ეს სიტყვა „ყველაფერი“, მრავლისმომცველია, მათ შორის ქრთამისაც და ასეთ კონტექსტში უწინარეს ყოვლისა სწორედ ქრთამისა, ჩვენც, ეტყობა, ასე უნდა გავიგოთ.

ბატონ კახის ალბათ რაიმე კონკრეტული ფაქტიც აქვს და ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა, დაასახელოს იგი, თორემ ახლა კოლეგები, ღმერთო შეგვცოდე და, ერთმანეთს ეჭვის თვალით ვუყურებთ.

თუმცა, ახლა მხოლოდ კოლეგები კი არ ვუყურებთ ერთმანეთს ეჭვის თვალით, არამედ საზოგადოებაც ასე შემოგვცქერის. გაზეთი რის გაზეთია და აკი „რეზონანსმა“ სათაურშივე ქვეყანას ამცნო, რას გვემართლება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე: „კახი ასათიანი მასმედიას ქრთამის აღებაში ადანაშაულებს“. ამის მერე მეგობრები შეხვედრისას გამარჯობის ნაცვლად ხუმრობით გვეკითხებიან, მაინც რამდენს იღებთო.

ეჰ, იმათ კი ეოხუნჯებათ — მეგობრები არიან და იციან, რისი ამღებები ვართ, როცა „ფერიც გვაკლია და ხორციც“, მაგრამ ყველა ჩვენი მეგობარი ხომ არ არის?

შესაძლოა, ბატონ კახის სპორტულ ჟურნალისტებზე იერიშისას აზარტში შესულს ის უსერიოზულესი ბრალდება ცხელ გულზე წამოსცდა, მაგრამ ეს ხომ ჩვენთვის შეღავათი არ არის — საზოგადოების თვალში ჩვენ ყველაფრის მკადრებელნი ვართ.

მოდი და ამის მერე საწინააღმდეგო ამტკიცე!

მაინც, რას გვერჩიან სპორტულ ჟურნალისტებს კახი ასათიანი და სპორტის სხვა ხელმძღვანელები, რომლებიც შემთხვევას არ უშვებენ ხელიდან, რომ ხან ერთი ტრიბუნიდან, ხან მეორიდან კრიტიკის ცეცხლში არ გაგვატარონ?

კრიტიკის ქარცეცხლი თავს მაშინ გვატყდება, როცა ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლებს აფასებენ. ეს შეფასება ყველგან, ყველა დონეზე კრიტიკული და არადამაკმაყოფილებელია, მათ შორის პრესაშიც. ოლიმპიური თამაშების შედეგებს თავად სპორტის ყველა ხელმძღვანელიც საბოლოოდ არადამაკმაყოფილებლად აფასებს. და თუ ეს ასეა, ღმერთმანი, ვეღარ გაგვიგია, ჩვენ რაღას გვერჩიან.

კახი ასათიანი წუხს, „ხახალეიშვილის ამბავზე დავითარსეთ, მაგრამ ჟურნალისტებმა ისეთი ამბავი ატეხეს, რომ...“

რაო, არაფერი უნდა თქმულიყო? ხომ უნდა დასმოდა წერტილი იმ აგორებულ ჭორებს, რომ საქართველოს სპორტის მესვეურებმა ხახალეიშვილის მედალი, თანაც ოქროსი, საარაკო ფასად გაყიდეს?

ან, რამ განარისხა ჯანო ბაგრატიონი, როცა გვისაყვედურა ხახალეიშვილის ამბავთან დაკავშირებული წერილის ანონსის გამოქვეყნება? რატომ არის მიუღებელი, მკითხველს აუწყო, მომდევნო ნომერში ამას და ამას წაიკითხავთო.

მისივე თქმით, თურმე დაუსრულებელი წერილის ბოლოში არ უნდა მიგვეწერა: „დასასრული ხუთშაბათის „სარბიელში“.

ჩვენი სპორტის ხელმძღვანელთა ნაწილი ჟურნალისტებისგან „ლაფში ამოსვრილად“ მიიჩნევს თავს. ეს გალმა შეედავეს პოლიტიკას ჰგავს. ოლიმპიურ შედეგებზე საუბრისას რომელ პრობლემებზეც არ უნდა ისაუბრონ, ბოლოს მაინც ჟურნალისტებს ადგებიან დაახლოებით ამ სიტყვებით: ჰო, მართლა, რაებს წერენ ეს სპორტული ჟურნალისტები, რას მიედ-მოედებიან.

მათ რომ გარეშე კაცმა ყური დაუგდოს, ატლანტაში წარუმატებლობის თავი და თავი ლამის სპორტული ჟურნალისტები ვართ, თურმე ჩვენ სპორტის ხელმძღვანელებს მოღალატეებად მივიჩნევთ.

ვფიქრობთ, ჩვენი სპორტის მესვეურთ სამართლიანად უსაყვედურა გიგა ლორთქიფანიძემ: „თქვენ შექმენით ატმოსფერო, რომ ჩვენ კმაყოფილნი უნდა ვიყოთ“, „ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მადლობა უნდა გითხრათ ყველაფრისთვის“... იგულისხმება ატლანტიდან დაბრუნების მერე ჩვენი სპორტის მესვეურებთან მოწყობილი სატელევიზიო პრეს-კონფერენციისგან მიღებული შთაბეჭდილებები.

ის შთაბეჭდილებები, ვაღიაროთ, ორივე მხრიდან მძიმე იყო.

თუ რომელიმე ჩვენმა კოლეგამ ან გაზეთმა რაღაც ვერ მოზომა, სპორტის ხელმძღვანელებმა ათმაგად უკან დაგვიბრუნეს და ოლიმპიურ თამაშებზე მარცხი ლამის მთლიანად ჩვენ გადმოგვაბრალონ.

ისე, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ზოგი ჟურნალისტი, რომლებმაც თავიანთი პუბლიკაციებით ჩვენც გაგვაკვირვეს, სპორტული ჟურნალისტი სულაც არ არის. აბა, ვინც მოცალეობის ჟამს სპორტზე დაწერს, ყველა სპორტულ ჟურნალისტად ხომ არ უნდა ვაღიაროთ?

და მაინც, ყველაფერს სპორტულ ჟურნალისტებს ნუ დავაბრალებთ.

ერთი სვანური ანდაზა ამბობს, დასაბრალებლად ყველაზე კარგი ჩვილი ბავშვიაო.

მაგრამ ჩვენ ჩვილი ბავშვები არა ვართ.

**სარბიელელები**

# ფოცხვერიამ ნამუსი მოგვწმინდა

აგვისტოში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბათუმში 1:2 რომ წააგო უკრაინელ თანატოლებთან, ამის ტრაგედიად ქცევა არც არავის უცდია. მიზეზი ის იყო, რომ ბევრად ძლიერ მეტოქეს ასე თუ ისე თანაბრად ეთამაშნენ, დებიუტში გოლიც გაუტანეს და მიუხედავად იმისა, რომ ორი თავად გაუშვეს, ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა გუნდმა ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა. ჩვენს ახალგაზრდებს ბოლო სამი წლის მანძილზე არაფრით გავუხარებივართ, თუ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დამაჯერებელ დებიუტს არ ჩავთვლით, მოლდოვას 3:0 რომ მოუგეს. ამის შემდეგ რაც იყო, ყველამ ვიცით, საუკეთესო შედეგად ის შეიძლება ჩაითვალოს, ბულგარეთის ახალგაზრდულთან მინიმალური ანგარიშით რომ წავაგეთ. ისიც გეხსომებათ, ასეთმა უსუსურმა გამოსვლამ მწვრთნელთა ცვლა რომ განაპირობა. ახალ ფეხბურთელთა და ახალ მწვრთნელთა შემადგენლობით ნაკრებმა პირველი ორი შეხვედრა კი წააგო, მაგრამ ასე თუ ისე ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეებს. ამიტომაც იყო, უკრაინაში გამარჯვებას ბევრი არავინ ელოდა, მაგრამ 1:3 მაინც...

4 სექტემბერს შუადღისას დონეცკიდან ჩამოფრენილ ნაკრებს აეროპორტშივე დავხვდით. ამათ ერთი საათი დააგვიანდათ და ჩამოსულებთან შეხვედრა აეროპორტის ფოიეშივე რომ დავაპირეთ, დაცვამ შორს დაიჭირა, არ იქნებაო. არც ჩვენმა ჟურნალისტობამ გაჭრა, ვიცით, ხვალ როგორი გაზეთიც გამოვაო (?!). ისე მოხდა, ნაკრებს ერთი ავტობუსის ნაცვლად რამდენიმე მსუბუქი მანქანა და მიკროავტობუსიც ელოდებოდა. ამიტომაც, ყველა მოთამაშემ თავის მომლოდინე მანქანას მიაშურა და ისე გაიფანტნენ, მხოლოდ რამდენიმესთან დალაპარაკება მოვახერხეთ.

ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა ბლიც-ინტერვიუს თავი აარიდა, ყველაფერზე ხვალ გელაპარაკებითო. მანამდე ბატონმა ვოვამ შემადგენლობის დასახელებაც იუარა, ამაზე ინფორმაციას მწვრთნელი ვლადიმერ პანოვი მოგცემთო, მან კი ისევ გუცაევთან მიგვაბრუნა. მოკლედ...

ყველას უთამაშია სათადარიგო მეკარის სოლოლაშვილის გარდა. ბიჭებმა რაც გაიხსენეს, ესაა: კარში გვარამაძე მდგარა („ბათუმი“), ლიბერო დიდავა ყოფილა („დინამო“), მარცხენა მცველი — დავითნიძე („დინამო 2“), მარჯვენა — წერეთელი („დინამო“), ცენტრალური კი შალვა ხუჯაძე („კოლხეთი“). საყრდენად ლომიძეს უთამაშია („დილა“), გამთამაშებლად კიკნაძეს („დინამო 2“), რომელიც ქებაძეს („მარგვეთი“) შეუცვლია, მარჯვენა ნახევარმცველად ზირაქიშვილის („გორდა“) მიერ შეცვლილ გიზო ჯელაძეს („დინამო“), მარცხნივ გახოკიძეს („კოლხეთი“), თავდასხმაში კი იაშვილსა და დემეტრაძეს (ორივე — „დინამო“), რომელთაც, შესაბამისად, ფოცხვერია („შახტიორი“, დონეცკი) და აშვეთია („ტორპედო“) შენაცვლებიან.

კიევის „დინამოს“ სტადიონზე გამართულ ამ შეხვედრაში ერთბაშად 6 ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი. ამათგან ყველაზე მეტ ინტერესს შახტიორელ მიხეილ ფოცხვერიას თამაში იწვევდა. ჰოდა, მანაც დებიუტი გოლით აღნიშნა, სხვათა თქმით, იმ რამდენიმე წუთში, შეცვლაზე რომ შემოვიდა, კარგადაც ითამაშა და, თუ ჩვენი ნაკრებიდან ვინმეს გამოყოფა შეიძლებოდა, სწორედ მისიო. 0:3-ზე ჩვენს ნაკრებს მან მოსწმინდა ნამუსი და დიდი ანგარიშით მარცხს გადაარჩინა. მის გარდა ნაკრების მაისური პირველად ჩაიცვეს დავითნიძემ, წერეთელმა, გახოკიძემ, ლომიძემ და ზირაქიშვილმა. ამათგან სწორედ უკანასკნელს, ზაზა ზირაქიშვილს გავესაუბრეთ:

— ნაკრებში პირველად კი ვთამაშობდი, მაგრამ განსაკუთრებით არ ვღელავდი. ჩემთვის უჩვეულო პოზიციაზე ვითამაშე — მარჯვენა ნახევარმცველად. მართალი რომ ვთქვა, ეს ჩემთვის დიდი სიახლე არ იყო, ადრეც გამოვსულვარ ამ პოზიციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ართმევებით ვერ დავიკვეხნი, ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია.

გიორგი დემეტრაძე: რაც უნდა თქვა, ფაქტი ერთია: უკრაინელებმა ორჯერ მოგვიგეს. პირველ მატჩში არ მითამაშია, მეორეზე კი იმას ვიტყვი, რომ ნაღდად გვაჯობეს. პირველ რიგში ფიზიკურად დაგვჯაბნეს, ჩვენზე სწრაფად მოქმედებდნენ. იმ გოლის გარდა, ჩვენ რომ გავიტანეთ, აშკარა საგოლე მომენტი არ გვქონია. ამის მიზეზი ფეხბურთელებმა საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. რაღაც-რაღაცეები გარდავქმნათ და მეტი თავგანწირვით ვითამაშოთ, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

გიორგი კიკნაძე: ყველამ რაღაც დუნედ ვითამაშეთ. საწყის 30 წუთში თითქოს არაფერი დაგვითმია, მაგრამ მერე დაგვჩაგრეს. ფიზიკურად ჩვენზე უკეთ გამოიყურებოდნენ და აკი მეტიც იმოძრავეს. მოკლედ, წავაგეთ, მაგრამ სულ ასე გაგრძელება როგორ იქნება — ხალხი ჩვენზე ხელს ჩაიქნევს. მომხდარმა ყველა უნდა ჩაგვაფიქროს, სხვაგვარად აღარ შეიძლება,. ერთხელ ხომ ჩვენც უნდა გავიმარჯვოთ, თორემ ისე ყველაფერს აზრი ეკარგება. მუდამ წაგებულის განწყობით მტერმა იარა.

გივი დიდავა: 1:3 წაგება თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ უკანა ხაზმა ვერ ივარგა, მაგრამ რაღა მარტო მან, ყველამ ერთნაირად დუნედ ვითამაშეთ. მეტოქემ ფიზიკაში გვაჯობა და როცა ეს ასეა, მეტოქე ბევრ რამეს შენზე სწრაფად აკეთებს. წააგებ, აბა, რა იქნება. მაგრამ, ვეცდებით, ჩვენც ვთქვათ სათქმელი, არ ვიყოთ მუდამ წაგებულის და მდევრის როლში.

**მამუკა კვანტალიანი**
**ვახტანგ ბზიკაძე**

## ინგლისს ჩვენზე ყველაფერი სცოდნია

მოლდოვა — ინგლისის მატჩი, რომლითაც ჩვენი ნაკრების ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყო, ქართველთა მეთვალყურეობით გაიმართა. ადრეც გაცნობეთ, ამ შეხვედრას საქართველოს ნაკრების მწვრთნელები თამაზ კოსტავა, ვლადიმერ პანოვი და ნაკრებისვე ოპერატორი ნუგზარ ნარსია დაესწრებიანო. კიშინიოვიდან ვლადიმერ პანოვი კიევშიც გაემგზავრა ახალგაზრდული ნაკრების მატჩზე და თბილისსაც მათთან ერთად დაბრუნდა. მგზავრობით მოქანცული მცირე ხანს გასაუბრებაზე თავაზიანად დაგვთანხმდა და ბარგისგან ხელი გაიცალა თუ არა, კითხვებზე გვიპასუხა.

პირველი, რაც მისგან გვაინტერესებდა, ის იყო, რა განსხვავება იპოვა ვენეიბლზისა და ჰოდლის გუნდებს შორის.

— ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე უფრო მობილური და მომზადებული ჩანდა, ვიდრე მოლდოვასთან მატჩისას. ეს ახალი მწვრთნელის დებიუტი გახლდათ და გუნდში რამდენიმე ახალწვეულმაც ითამაშა. ეტყობოდათ, მოლდოვა ყველანაირად შეესწავლათ, ამიტომ იფიქრეს, ადვილად გავილითო, რაც ჰოდლმა პრეს-კონფერენციაზეც განაცხადა.

**— რაში გამოიხატება უშუალოდ თამაშისას, რომ ინგლისელებს სრულფასოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მეტოქის ნაკრებზე?**

— მე ვიცნობ მოლდოვის გუნდს. მინახავს მათი საუკეთესო თამაშიც უელსთან. ამ შეხვედრაში მათ არ მიეცათ თავიანთი ისეთი ძლიერი მხარეების წარმოჩენის საშუალება, როგორიც, მაგალითად, კარში შორიდან დარტყმებია.

**— ინგლისელთაგან ყველამ სრული ძალით ითამაშა, თუ რამდენიმე მოთამაშის ძალისხმევაც ეყოთ მოსაგებად?**

— ოთხი ფეხბურთელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. შეიძლება ითქვას, რომ სიმენმა, ინსმა, გესქოინმა და შირერმა მოიგეს თამაში.

**— სტუმრებს ბევრად მეტი უპირატესობა ჰქონდათ, თუ ანგარიში შინაარსს სრულად ასახავს?**

— შედეგი ლოგიკურია. ინგლისმა მთლიანად გამოიყენა სათამაშო კლასში თავისი უპირატესობა.

**— მოლდოველთა გუნდში თუ შეიმჩნეოდა სიახლე-ცვლილებები?**

— შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაკრები შარშანდელთან შედარებით უფრო შესუსტებულია, მოთამაშეთა რუსეთში მიგრაციის პროცესს ვერაფერს უხერხებს და გეზი ახალგაზრდებზე აუღია.

**— თუ ინგლისელები მოლდოველებს კარგად იცნობენ, უეჭველია, ჩვენზეც ექნებათ ინფორმაცია.**

— როგორც მითხრეს, უელსთან ჩვენი თამაშის ჩანაწერი ჰქონიათ და, ფაქტია, ჩვენც შეგვისწავლიდნენ.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## ჩამოლაპარაკდნენ

საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატშიც ისევე, როგორც შარშანდელში, ორი ჯგუფი კია, ოღონდ მეორე ორ ზონადაა გაყოფილი. ამ ჩემპიონატის დასაწყისში ვწერდით, პირველჯგუფელებმა ბევრი დებიუტანტი ათამაშესო და ღღეისათვის მათმა რიცხვმა 40-ს გადააჭარბა. ამაში გასაკვირი არაფერია. ახალი სისხლის გადასხმა არავის ავნებს და ეს გარდაუვალიცაა. ჩვენ სხვა, უფრო საოცარ მოვლენაზე გადავწყვიტეთ ყურადღების გამახვილება. რა გასაკვირიც უნდა იყოს, უკუპროცესიც შეინიშნება. დღევანდელი ჩემპიონატის მეორე ჯგუფში 35 ყოფილი პირველჯგუფელი გამოდის. ამათში არ გვიგულისხმია ყვარლის „დურუჯისა“ და სენაკის „ეგრისის“ ლამის მთელი შემადგენლობანი, რომელთაც ჩამოქვეითება იძულებით მოუხდათ. ამ გუნდების მხოლოდ ოთხმა ფეხბურთელმა უშველა თავს I ჯგუფში დარჩენით. ამათგან სამი ეგრისელი გამოდგა — „სამტრედიამ“, „ივერიამ“ და „მერანმა“ თითო სენაკელი დაიმატეს, ყვარლელთაგან ერთადერთი ბოჭორიშვილი კი „კახეთმა“ აიყვანა. კიდევ სამი ეგრისელი II ჯგუფის სხვა გუნდებში გადავიდა, ერთი დურუჯელიც „გამოექცა“ მუდმივ აუტსაიდერს. მოკლედ, ამათი არც ზემო ჯგუფში დარჩენა გვიკვირს და არც სხვათა ქვემო გუნდებში გადასვლა. არც ოთხი დინამოელის, ორი ოდიშარისა და ერთი შევარდენის გვარების ამოკითხვას გავუკვირვებივართ მეორე ჯგუფელთა შორის. ჩემპიონატის დებულება ხომ ითვალისწინებს ფარმ-კლუბიდან საძირითადოდ მოთამაშეთა გადაყვანას და გამონაკლისით ზემოთ ჩამოთვლილთა გუნდები მოხერხებულად სარგებლობენ: ვინც ასაკობრივი ცენზის დაურღვევლად ფარმ-კლუბში შეყვანას ექვემდებარება, ძირითადი გუნდის განაცხადში ადგილს ათავისუფლებს. გასაკვირი ისაა, რატომ სარგებლობს ამ წესით მხოლოდ 3 გუნდი, როცა შვილობილი ექვსს ჰყავს. უფრო საკვირველი კი სხვაა: თუ იმ შვიდეულს არ ჩავთვლით, რომელსაც II ჯგუფში „გადასვლით“ არაფერი დაუკარგავს და ძლიერთა შორის უპრობლემოდ თამაშობს, ჩამოქვეითებულთა ოდენობა მაინც დიდია — 28. ეს კი, სულ ცოტა, ერთი ისეთი გუნდია, რომელიც ჩვენი ჩემპიონატის I ჯგუფის ლიდერი თუ არა, ერთი კარგი გუნდი მაინც იქნებოდა. აბა, რამ აიძულათ მოთამაშენი რანგით დაბალ ლიგაში სათამაშოდ? ამას არაერთი მიზეზი აქვს. ჯერ იმაზე ვთქვათ, ვინც ამ გზაზე პირველმკვლავნი იყვნენ.

ივერიელებმა ქობელაშვილმა და იობაშვილმა თავს მეორე წრის დასაწყისშივე უშველეს და იმ გუნდში გადავიდნენ, რომელსაც არაერთ ზემოურზე უკეთესი პირობები და ანაზღაურება ჰქონდა. ეს მათი მხრიდან შეგნებული ნაბიჯი იყო. ყოფილმა მაღაროელმა იობაშვილმა ახალი თანაგუნდელი თავის ძველ კლუბში გაიყოლა. იგივე მოიმოქმედა „გურიაში“ მოთამაშე კახა ჯანაშიამ, რომელიც, ჭიათურელთაგან განსხვავებით, „სამგურალთან“ ერთად მალევე ამოტივტივდა. ამას გაუმართლა, ცომაიასა და ჯიკაევს კი მთელი წლის მანძილზე მოუწიათ ცდა... II ჯგუფში რომ მოწყობილიყვნენ. ამათ უკეთესი ვარიანტი არც ჰქონდათ, რადგან მთელი წელი გაუცდათ და ფორმაში ვერ იყვნენ. ნაწილობრივ ამათ ბედში მყოფი გუჩუა იოლად გამოძვრა, „ოდიშმა“ მიიწვია, მაგრამ უთამაშებლობა მასაც ძალიან ეტყობა.

ამ „ექსსამტრედიელთაგან“ სამმა მეორე ჯგუფს მიაშურა, ერთი ზემოთ დარჩა. ახლა გამორიცხული არც ისაა, რომ ქვემოებს ბოლო ხანს რუსეთის უმაღლეს ჯგუფში მოთამაშე გოჩა გუჯაბიძეც დაემატოს. მასზე „კოდაკოს“ უჭირავს თვალი და თუ გადაიბირა, ორი ერთობ ტიტულოვანი ეყოლება. ყველაზე მეტად პირველ ჯგუფელთა დაყოლიებაში „კოდაკომ“ გამოიჩინა თავი. მას არც „ლოკომოტივი“ ჩამორჩა — ორივემ 7-7 მოთამაშე აიყვანა. ყველაზე მეტი „შევარდენმა“ და „ივერიამ“ დათმეს, 6-6 მოთამაშეს რომ შეელივნენ, „სიონმა“ და „სამტრედიამ“ კი 3-3 გაუშვეს.

ახლა ამ კომპანიას სხვა თვალითაც გადავხედოთ. ამათში 5 მეკარეა, 15 მცველი, 8 ნახევარმცველი და 7-იც თავდამსხმელი. წერილს დართულ მოთამაშეთა ნუსხას თავად გადახედეთ და განსაჯეთ, დაჰკარგა თუ არა ჩვენმა I ჯგუფმა ერთი კარგი გუნდი, ისეთი, საპრიზო ადგილებს რომ შეეპოტინებოდა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

| | |
|---|---|
| **თორი ბორჯომი — 1** | |
| გოჩა ჩიბაშვილი | ივერია |
| **დინამო-2 თბილისი — [illegible]** | |
| დავით მუჯირი | დინამო |
| ლევან კობიაშვილი | დინამო |
| [illegible] | დინამო |
| ალექსანდრე იაშვილი | დინამო |
| **კოდაკო თბილისი — 7** | |
| დავით ცომაია | სამტრედია |
| ბაზვა მოსეშვილი | სიონი |
| გოჩა ტოროშელიძე | სიონი |
| ლევან იოსავა | შევარდენი |
| ალექსანდრე მარგიანი | გურია |
| პაატა ნოზაძე | ივერია |
| ზვიად ხაჩირაშვილი | კახეთი |
| **ლოკომოტივი თბილისი — 7** | |
| გურამ ჩიქვინიძე | კახეთი |
| დავით ჩხეტია | მარგვეთი |
| ლევან დოლაბერიძე | სამტრედია |
| გიორგი მაზანაშვილი | შევარდენი |
| გიორგი მოსულიშვილი | შევარდენი |
| მამუკა ყანჩაშვილი | დურუჯი |
| ივანე ბუზრიკიძე | ივერია |
| **მაღაროელი ჭიათურა — 2** | |
| გივი ქობელაშვილი | ივერია |
| დავით იობაშვილი | ივერია |
| **მეშახტე ტყიბული — 1** | |
| ოთარ ვარდანიძე | ტორპედო |
| **მორკინალი თბილისი — 1** | |
| ედიშერ ხევსურიანი | ეგრისი |
| **ოდიში 2 ზუგდიდი — 2** | |
| მანუჩარ კუტალია | ოდიში |
| კლიმენტი წიტაიშვილი | შევარდენი |
| **სამეგრელო ჩხოროწყუ — 2** | |
| მერაბ ახალაია | ეგრისი |
| ჯემალ ბენდელიანი | ეგრისი |
| **საპოვნელა თერჯოლა — 1** | |
| მამუკა ნიქაბერიძე | მარგვეთი |
| **შევარდენი 2 თბილისი — 1** | |
| ედიშერ ალადაშვილი | შევარდენი |
| **შირაქი დედოფლისწყარო — 1** | |
| გიორგი ჯიკაევი | სამტრედია |
| **შინერი ყინვალი — 1** | |
| გიორგი ანდღულაძე | სიონი |
| **35-სტშ თბილისი — 4** | |
| ვახტანგ ბუზრიკიძე | ივერია |
| დავით ხეტეშვილი | შევარდენი |
| დავით დათვაძე | შევარდენი |
| ლევან ყიფიანი | დინამო |

## ნუ გასწირავთ „ივერიას“

ქართლში ფეხბურთი არ უყვართო, ვერავინ იტყვის. ამის თქმის უფლებას გულშემატკივართა ერთგულება არ მოგვცემს. პირველ ჯგუფშიც ქართლელებს ორი გუნდი ჰყავთ — „დილა“ და „ივერია“. შარშან არც ერთს ულხინდა და არც მეორეს, მაგრამ ჩემპიონატი მაინც ჩაამთავრეს. წელს, გორელებს პატრონი გამოუჩნდათ, თანაც ფეხბურთს რაიონის თავკაცებმაც მოხედეს და „დილა“, დღევანდელობის კვალობაზე, წელში გაიმართა. „ივერიას“ კი არაფერი ეშველა, უფრო სწორად, არავინ შეეშველა და რა დღეშიც იყო, ისევ ისეა. რაიონის ხელმძღვანელობამ დახმარების დაპირება კი გამოიმეტა, მაგრამ ამის იქით აღარ წასულა და დარჩა სიტყვა სიტყვად. არადა, „ივერიას“ მთავარი მწვრთნელი, მალხაზ ლაცაბიძე ამ პირობებშიც კი მაქსიმუმს აკეთებს. გუნდი საკმაოდ გადაახალის-გაახალგაზრდავა, რაც ძნელი იყო და, მაინც შეძლო უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება, რაც ყველაზე მთავარია, ახალგაზრდობა ფეხბურთისკენ მოაბრუნა. ამ სეზონში ხაშურელებს ურიგო გუნდი არა ჰყავთ, მაგრამ რა ძლიერიც უნდა იყო, უფულოდ შორს როგორ წახვალ. როგორც მალხაზ ლაცაბიძემ გვითხრა, რაიონის ხელმძღვანელობა ივერიელებს ერთხელაც დაპირებია, ახალი წლიდან ბიუჯეტში ჩაგსვამთ და, გეშველებათო. მაგრამ ახალ წლამდე მთელი პირველი წრეა. ანაზღაურებაზე რომ არაფერი ვთქვათ, გუნდს საშინაო თამაშებზე მსაჯების მომსახურეობის თანხაც გასასტუმრებელი აქვს და ვერც სტუმრად წახვალ მთლად ხელცარიელი. რომ არ გავაგრძელოთ, „ივერიას“ გვარიანად უჭირს. არადა, ახლა რომ დაიშალოს, ხაშური ფეხბურთს დიდი ხნით დაემშვიდობება. საქმე აქამდე ალბათ არ მივა, იმედი ჯერ კიდევ არის, რომ ქალაქი გუნდს არ გასწირავს.

## ყიზო ფეხზე დადგა

არაფრით მეგონა, დათო ყიზილაშვილს საშინელი ტრავმის შემდეგ ფეხზე ასე უცებ დამდგარს თუ ვნახავდი. თაბაშირის ნაცვლად მხოლოდ მუხლს ქვემოთ შეხვეული ფეხი მიგანიშნებდათ გადატანილ ტრავმაზე.

**— დათო, რას უნდა მივაწეროთ ესოდენ სწრაფი პროგრესი, ნუთუ ექიმები კვლავ შეცდნენ და ფეხი მოტეხილი არ გქონია?**

— არა, სამწუხაროდ, წვივის ძვალი მართლა მოტეხილია, მაგრამ ისე „კარგად“, რომ არც გარშემო კუნთებია გაგლეჯილი და არც დიდი სისხლჩაქცევა ყოფილა. მოკლედ, ფეხი „სუფთად“ მომტეხეს.

ექიმებმა ნორვეგიაში ფეხი რაღაც ცელოფნის მაგვარ ტომარაში ჩამალებინეს და გაბერეს, როგორ ამიხსნეს, ამით ფეხს გასიების საშუალება მოუსპეს. თბილისში ჩამოსვლისთანავე მთელი ფეხის სიგრძეზე თაბაშირი რომ დამადეს და ექვსთვიანი იძულებითი შვებულება მიწინასწარმეტყველეს, ცნობილ მკურნალ ასკურავას მივაკითხე, რომელმაც ერთ თვეში მორჩენა აღმითქვა. მართლაც, ერთკვირიანი „დიდი თაბაშირის“ მერე ორ დღეში ერთხელ მასთან გადახვევაზე მივდივარ და, როგორც მეუბნება, ძვლის შეხორცება იდეალურად მიდის. ახლა თაბაშირი აღარ მაქვს, წვივის ძვალი აქეთ-იქით ლითონის ორი მილაკითაა გამაგრებული და აი, ესაა, შეხვეული რომ მაქვს. უკვე სხვების დაუხმარებლად დავდივარ და ყავარჯნებს არც ვხმარობ. ის კი არა, ასკურავამ, ფეხი უკვე შეგიძლია დაადგაო.

**— მალე მუხლისაც დაიწყებ...**

— 20 სექტემბერს საბოლოოდ მივიხსნი სახვევს და მცირე დატვირთვებიც უკვე შემეძლება.

**— ამ უვარჯიშებლობისას წონა ხომ არ მოგმატებია?**

— უცნაურია, მაგრამ პირიქით მოხდა — დავიკელი. ახლა ზუსტად 78 კილოგრამს ვიწონი, ეს ჩემი სათამაშო წონაა.

**— ესე იგი, როგორც შენს ცხოვრებაში ხდება ხოლმე, ცუდ ამბავს კარგი მოჰყვა — მძიმე ტრავმა სწრაფად გოშუშდება.**

— ფეხი აღარ მადარდებს, ახლა მხრის ნერვის ანთებამ გამაწამა და ლამისაა ეს ფეხმოტეხილი კაცი კედლებზე ამიყვანოს. თუ მხრის ტკივილმაც გამიარა და ფეხიც შეხორცებაც კვლავაც ასე გაგრძელდა, არაა გამორიცხული, მოსკოვში გავყვე გუნდს და ტრიბუნიდან ვუქომაგო. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ბარიერსაც გადავლახავ და თუ შემდგომ ეტაპის პირველ მატჩში არა, იქნებ მეორეში მაინც შევეშველო ბიჭებს...

**მამუკა კვარაცხელია**

## გოგიჩაიშვილი და ჯამარაული „აინტრახტში“?

„სპორტ-ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახი ცხადაძემ თქვა: „შესაძლოა, „აინტრახტში“ ჩემს გვერდით კიდევ ორმა ქართველმა ნახევარმცველმა, თანაც ნაკრების წევრებმა ითამაშონო. ბუნებრივია, გაჩნდა ინტერსი, ვინ არიან ისინი? როგორც შევიტყვეთ, ლაპარაკია კახი გოგიჩაიშვილსა და გოჩა ჯამარაულზე. რამდენად რეალურია ეს ამბავი, ამაზე თავად გოგიჩაიშვილს დავეკითხეთ:

— ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით. ვიცი მხოლოდ ის, რომ ცხადაძემ „აინტრახტის“ მწვრთნელს ურჩია, გოგიჩაიშვილს და ჯამარაულს ყურადღება მიაქციეო. გვნახავენ — არ გვნახავენ და როგორ შეაფასებენ ჩვენს თამაშს, ეს უკვე მათი გადასაწყვეტია. მაგრამ, სანამ უეფას თასზე ვთამაშობთ, ნებისმიერ გადასვლაზე საუბარი ნაადრევია.

## რევიშვილს არა უშავს

გვითხრა საქართველოს ნაკრების ექიმმა დიმიტრი ზაალიშვილმა. ზაზას ნორვეგიელებთან შეხვედრისთვის მზადებისას, შეკრებაზე დაეჭიმა კუნთი. ალბათ, 10-15, მაქსიმუმ 20 დღეში ყველაფერი კარგად იქნება.

## ჩუხუა „შევარდენში“ ითამაშებს

თბილისის „შევარდენის“ მთავარი მწვრთნელის უჩა ქანთარიას ცნობით, გუშინ, 4 სექტემბერს ყოფილი დინამოელი ჯუბა ჩუხუა გუნდის საგანაცხადო სიაში უნდა შეეტანათ. შეგახსენებთ, რომ ჩუხუა „დინამო-2“-დან ბელგიის „ანტვერპენში“ აპირებდა გადასვლას. ეს ვერ მოხერხდა, შემდეგ დანიის „ფკ კოპენჰაგენის“ ხელმძღვანელობამ საკონტროლო შეხვედრაში გასინჯა. იქ ჯუბამ თავი გამოიჩინა და სამი გოლიც გაიტანა, მაგრამ მიზეზთა გამო გუნდში ვერ დარჩა და კარიერის უცხოეთში გაგრძელება დროებით გადაედო. ქანთარიას თქმით, ჩუხუა გუნდში ჩაირიცხა იმ პირობით, რომ სასურველი უცხოური კლუბის გამოჩენის შემთხვევაში მას „შევარდენიდან“ გათავისუფლებაში პრობლემას არ შეუქმნიან. „შევარდენის“ ხელმძღვანელობა ამ პირობაზე ყაბულსაა. ამგვარად, თბილისელთა თავდასხმას ახალი წევრი შემატება.


## საქართველო იტალიის წინააღმდეგ

— 9 ოქტომბერს იტალიის ქალაქ პერუჯაში — ოთხდღიანი შოპ-ტური ექსკურსიით — ყველაზე იაფად. მგზავრობა კომფორტული ავტობუსით.
გასვლა 3 ოქტომბერს.

დაგვიკავშირდით ფირმა „მოგზაურში“:
ჭავჭავაძის 21,
99-84-73, 93-46-75
რუსთაველის 42
29-20-20

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოხუმის „ცხუმის" შემტევი ნახევარმცველი იური გაბისკირია კარგად ემახსოვრებათ გულშემატკივრებს. ცხოვრებაში გულღია და კეთილი, საფეხბურთო მინდორზე სრულიად გარდაიქმნებოდა და თამაშის ბოლო წამებამდე თავდაუზოგავად იბრძოდა. მერე ცხოვრება აირია, სიდუხჭირემ „ცხუმი" დაშალა და გაბისკირიამაც უკრაინას, კერძოდ, შეპეტოვკის „ტემპს" მიაშურა, თუმცა ეს გუნდი ჩვენებურთა სიმრავლის გამო „ქართული" უფრო იყო. იურისა და დანარჩენთა შესახებ „სარბიელი" შეძლებისდაგვარად მუდმივად გაწვდიდათ ცნობებს, მაგრამ „ტემპი" უმაღლესი ლიგიდან გავარდა, „იქაური" ქართველებიც გაიფანტნენ და გაბისკირიაც „შახტიორმა" მიიწვია. საქმე თითქოს აეწყო, მაგრამ იურიმ ფეხი ვერსად მოიკიდა, ვერც დონეცკში, ვერც „კამაზში" და, წარმოიდგინეთ, ნოვოროსიისკშიც კი, მაშინ, როცა იქაური „ჩერნომორეცის" მთავარ მწვრთნელს დოლმატოვს ლამის მასზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. ასე იყო თუ ისე, მცირევადიანი მივლინების შემდეგ გაბისკირიამ დონეცკი და ახალი გუნდი დატოვა და 4 სექტემბერს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად თბილისს ჩამოვიდა. მასთან გასაუბრება აეროპორტშივე გვსურდა, მაგრამ თვალს და ხელს შუა გაგვექრა. თითქმის იმედგადაწურულებმა უცაბედად ფეხბურთის ფედერაციასთან მის ძმას მოვკარით თვალი, იური ახლავე მოვაო, დაგვაიმედა. იურის ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია, სულ მალე თავად გამოჩნდა. ერთი შეხედვით, საქართველოდან წასვლის შემდეგ უფრო ჯანმომატებული ჩანდა, თუმცა ეს არც მანამდე აკლდა. გამოხედვაც ისეთივე ცოცხალი და მკვირცხლი ჰქონდა.

# თავის დაზოგვა რა წესია

**— შეპეტოვკიდან დონეცკის „შახტიორში" რომ წახვედი, ეს ვიცოდით, მაგრამ, რატომღაც, იქ ფეხი ვერ მოიკიდე. რა მოხდა?**

— „შახტიორში" თავიდან ყველაფერი კარგად აეწყო. ღმერთია მოწმე, თავი არ დამიზოგავს, ვარჯიშებზეც მთლიანად ვიხარჯებოდი და მაინც, ორი თვის განმავლობაში ძირითად შემადგენლობას ვერაფრით ველირსე. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, მაგრამ იმხანად „შახტიორში" ჩემზე ძლიერად მოთამაშე კაცი არ მეგულებოდა, კონკურენციას რომ გამიწევდა, ისეთი არავინ მყავდა. ბევრი ვითმინე, ვითმინე და ბოლოს ყველაფერმა ერთბაშად ამოხეთქა. ერთ-ერთ ვარჯიშზე მთავარ მწვრთნელთან სალკოვთან კონფლიქტი მომივიდა, რის შემდეგაც ჩემი მხრიდან გუნდში გაჩერებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის პრეზიდენტს ჩემი გაშვება არ უნდოდა. საბოლოოდ როგორც დასრულდა ყველაფერი, იცით — „შახტიორი" დავტოვე.

**— დონეცკიდან კი წამოხვედი, მაგრამ „კამაზში" მოხვედრამდე უქმად რომ არ იჯექი, ესეც ვიცით. ამბობდნენ, გაბისკირიამ კიდევ ორი გუნდი გამოიცვალო...**

— „შახტიორიდან" რომ მივდიოდი, ისევ შეპეტოვკელები დამიკავშირდნენ. მართალია, ფინანსურად არ ულხინდათ, მაგრამ შემპირდნენ, ორ-სამ თვეში ბელგიაში გაგიშვებთ სათამაშოდო. მეც რას ვკარგავდი, დავთანხმდი, მაგრამ როცა შევატყვე, შეპირებული ტყუილი გამოდგა, ბევრი აღარ მიყოყმანია, ქუდი დავიხურე და წამოვედი. უქმად ყოფნა არ მსურდა და არც მარგებდა. ამიტომ, როცა კრივოი როგის „კრივბასიდან" მიწვევა მივიღე, უარი არ მითქვამს. „კრივბასში" სეზონის ბოლომდე ვითამაშე, გუნდის წინაშე ჩემი ვალი მოვიხადე და შემდეგ დავემშვიდობე.

**— ესე იგი, „კამაზი" მერე იყო. იქ როგორღა მოხვდი?**

— „კამაზში" ჩემამდე მიშა ჯიშკარიანი და სოსო ჭედია ჩაირიცხნენ. მიშა ჩვენზე გაცილებით სტაჟიანი იყო. მაშინ „კამაზი" მოსამზადებელ ეტაპს კვიპროსში გადიოდა, მე კი დონეცკში, გიორგი ჩიხრაძესთან ვიყავი სტუმრად, როცა ერთ დღეს დამირეკეს და „კამაზში" გადასვლაზე მესაუბრნენ. ვიფიქრე და თანხმობა განვუცხადე მოკლედ, ჩემი იქ მოხვედრა მიშას და სოსოს დამსახურებაა.

**— „კამაზში" თითქოს არ უნდა გაგჭირვებოდა. გუნდის ხელმძღვანელებიც სეზონის ერთ-ერთ სერიოზულ შენაძენად გთვლიდნენ, მაგრამ შენ ჩამოსვლა ამჯობინე. ეს ნაბიჯი მოულოდნელი და გაუგებარი იყო. მითუმეტეს, რომ ჯიშკარიანი დარჩა, შენ და ჭედიამ კი გუნდი დატოვეთ...**

— სოსო ჩემზე ადრე წამოვიდა. საქმე ის გახლავთ, რომ იმხანად „კამაზს" ფინანსურად გაუჭირდა. ისე აეწეწათ ყველაფერი, რომ, მე, მაგალითად, შეპირებულის და კონტრაქტით გათვალისწინებულის მიღებას სამი თვე ველოდებოდი. ბოლოს ავდექი და კლუბის პრეზიდენტს მივაკითხე, მაგრამ მან დამაჯერებელი ვერაფერი მითხრა. იძულებული გავხდი, „კამაზი" დამეტოვებინა.

**— თუ ასეთი კრიტიკული სიტუაცია იყო, ჯიშკარიანი რატომ დარჩა?**

— მიშა ჩვენამდე ერთი წლით ადრე მივიდა „კამაზში", იმ პერიოდში კი გუნდი საკმაოდ წელგამართული გახლდათ. სხვა თუ არაფერი, მე ჩემი საქმე მაქვს, ჯიშკარიანმა კი თავისი იცის და დარჩენა ამჯობინა.

**— ახლა ნოვოროსიისკზე ვთქვათ. „ჩერნომორეცის" მთავარი მწვრთნელი დოლმატოვიც კარგი თვალით გიყურებდა. თავიდან პრესის გამოხმაურებაც კარგი გქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერც იქ დამკვიდრდი...**

— „ჩერნომორეცის" პრეზიდენტი და თავად დოლმატოვი თავიდანვე სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ — იური, შენ ჩვენ გვჭირდები, შენი იმედი გვაქვსო. მეც ისე ვირჯებოდი, როგორც ფეხბურთელს შეეფერება, მაგრამ მერე დოლმატოვი ამიხირდა, რაც ჩვენთან მოხვედი, ვარჯიშს და თამაშს უკვე-



ლიო. ამას აღარ დასჯერდა — ერთ-ერთ ვარჯიშზე ბიჭებმა გაზეთი მომიტანეს, გავშალე და რას ვხედავ: დოლმატოვი ჩემი ძაგებით გულს იოხებს. რა კონფლიქტიც მოგვივიდოდა, თავად განსაჯეთ. პრეზიდენტთანაც შევედი და ყველაფერი ავუხსენი. აქ რაღა გამაჩერებს, უნდა წავიდე-მეთქი, ვუთხარი. მერე დოლმატოვიც შემრიგებლური ტონით მელაპარაკა, მაგრამ დარჩენაზე ვეღარ დამიყოლიეს.

**— ფიცხი ხასიათი გქონია. იქნებ ეგ დოლმატოვი მთლად არ ტყუოდა?**

— ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ კაცი შეიძლება მართლაც დაეჭვდეს რაღაცაში, მაგრამ ერთსაც გეტყვით. ვისაც ჩემი თამაშები უნახავს და მიცნობს, ეცოდინება, რომ ვარჯიშის და თამაშის დროს თავის დაზოგვა არ მიყვარს. ყოველთვის ბოლომდე ვიბრძვი. სიმულაცია არ მახასიათებს — ეს ჩემს ბუნებაში არ არის. არ შემიძლია მინდორზე გულხელდაკრეფილი ვიყო. სხვა ამბავია, როგორ გამომდის ყველაფერი, მაგრამ თავის „შენახვა" გამორიცხულია. ახალბედა ფეხბურთელიც არ ვარ, მოედანზე ვინმემ ან რამემ რომ შემაშინოს.

**— ასეთი ინფორმაციებიც გავრცელდა, გაბისკირია უცხოეთში მიდის სათამაშოდ...**

— რაღაც წინადადებები კი იყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა. კერძოდ, ბელგიის „ეკერენზე" იყო საუბარი და საბოლოოდ ჩაიშალა. ახლახან, მოსკოვში ყოფნისას, შვედეთში წასვლა შემომთავაზეს, მაგრამ სასინელი პირობები იყო. არის პორტუგალიის ვარიანტიც, მაგრამ ჯერ არაფერი ვიცი. მალე გაირკვევა ყველაფერი და ვნახოთ, რა გამოვა.

**— იმასაც ამბობენ, გაბისკირია „ოდიშში" მიდის სათამაშოდ. რამდენად მართალია ეს ცნობა?**

— ჯერჯერობით ამ კლუბთან სერიოზული საუბარი არ მქონია. ისე კი ვიცი, რომ ზუგდიდელები ძლიერი გუნდის გაკეთებას აპირებენ. საქართველოში დაახლოებით ერთი თვე დავრჩები, მივიხედ-მოვიხედავ, ზუგდიდშიც ჩავალ. თუ ყველაფერი კარგად აეწყო, რატომაც არა, ესეც შესაძლებელია. ისე კი, გავიმეორებ, ოდიშელებთან ამის თაობაზე ჯერ არც კი მისაუბრია. ისიც გასარკვევი მაქვს, საქართველოში დავრჩები თუ უცხოეთში წავალ სათამაშოდ.

**— შენ ერთხელ ეროვნულ ნაკრებშიც მიგიწვიეს, მაგრამ რატომღაც არ ჩამოხვედი. რა იყო ამის მიზეზი?**

— ფეხბურთელი ნაკრებში თამაშს რომ თავს აარიდებს, არ ვიცი, ამას რა ჰქვია. ქვეყნის პირველ გუნდში თამაში ყველას ოცნებაა. იმხანად, რომ გამომიძახეს, ფეხი მქონდა დაშავებული და ვერ ჩამოვედი. ისე, თუ გამოვადგები ვინმეს, მზად ვარ. რაც აქედან წავედი, ჯანიც მომემატა და გამოცდილებაც, დაკლებით კი არაფერი დამკლებია. მოკლედ, თუ დამიძახებენ, სიამოვნებით ვითამაშებ და ისე ვიბრძოლებ, სხვებიც რომ არ შევარცხვინო და თავიც.

**მამუკა კვანტალიანი**

# ასეთი ტემპით...

საქართველოს მერვე ეროვნულ ჩემპიონატს „შევარდენთან" შეწყვილებული „თსუ", ანუ უკვე „შევარდენი-თსუ" მოევლინა. ეს სახელწოდებებისა და მოთამაშეების გაერთიანება უფრო იყო, თუმცა, ესეც პირობითად ითქმის, რადგან შევარდენელებიდან გუნდში მხოლოდ კაპიტანი კოტე მელქაძე და ნუკრი მინდიაშვილი დარჩნენ. ფაქტიურად კი „შევარდენი-თსუ" II ჯგუფში შარშან მე-5 ადგილზე გასული „უნივერსიტეტი" გახლავთ.

„შევარდენმა-თსუ"-მ ჩემპიონატი ხეირიანად რომ ვერ დაიწყო, ფაქტია. ბუნებრივია, იბადება კითხვა — რატომ? გუნდის მთავარ მწვრთნელს უჩა ქანთარიას სწორედ ამის თაობაზე ვესაუბრეთ. სანამ უშუალოდ შეკითხვაზე გაგვცემდა პასუხს, მან მოკლედ მოგვითხრო გუნდის წარსულზე.

— გუნდის წევრთა უმრავლესობას კარგა ხანია ვიცნობ. 3-4 კაცის გარდა მე-9 კლასიდან ყველა ერთად თამაშობს და მათი საშუალო ასაკი 20-21 წელია. ბიჭებმა III ლიგიდან დაიწყეს. გახსოვთ, ალბათ, ზონალური შეჯიბრებები რომ ტარდებოდა. იქიდან მოყოლებული, ერთ წელზე მეტ ხანს ლიგაში არ გაჩერებულვართ. ასეთი ტემპით 3 წელიწადში I ჯგუფამდე მივაღწიეთ. თუმცა, ერთი პრობლემა საკმაოდ გვაწუხებს — მოთამაშეთა გამოუცდელობა. ბიჭები ახლა იწყებენ ჯგუფში აკლიმატიზაციას, რასაც, ბუნებრივია, ერთბაშად ვერ მოახერხებენ და შედეგებიც ამიტომ არასასურველია. მათ უჭირთ იმაში დარწმუნება, რომ შეუძლიათ I ჯგუფში თამაში და წარმატების მიღწევა. არადა, ეჭვიც არ მეპარება, რომ დიდი პოტენციის მქონე ფეხბურთელებს ვავარჯიშებ. რამდენიმე ქულა სწორედ გამოუცდელობისა და რწმენის უქონლობის გამო დავკარგეთ. ქუთაისში „ტორპედოსთან" ფაქტიურად მოსაგები თამაში ფრედ დავასრულეთ: სამ თამაშს ეყოფოდა, იმდენი მომენტი გავაფუჭეთ. ბოლნისის „სიონთანაც" ჩვენ ვფლობდით ტერიტორიულ უპირატესობას, ესეც ვერ გამოვიყენეთ და 0:2 წავაგეთ. ან „გორდასთან" ჩემპიონატის პირველი შეხვედრა გავიხსენოთ — პირველად ჩვენ შევქმენით სახიფათო მომენტი, თანაც ასპროცენტიანი, მაგრამ საბიაშვილმა ვერ გაიტანა. მალე მან მეორე მომენტიც გააცუდა. მაგრამ წუწუნი არ მჩვევია და მჯერა, რომ აურაცხელი რეზერვის წყალობით თამაშის ხარისხს გავაუმჯობესებთ და თუ ამ რეზერვებს ბოლომდე გამოვიყენებთ, ცხრილში ბევრად წინ წაწევაც შეგვიძლია.

**— რუსთავის შეხვედრას დავუბრუნდეთ. პირველივე გოლის შემდეგ გუნდი მოიშალა. არადა, მანამდე მასპინძლებს ტოლს არ უდებდით. ცხადია, რომ მოთამაშეები ფსიქოლოგიურად უკეთ არიან მოსამზადებლები...**

— ეს რომ აუცილებელია, ბევრი ლაპარაკი არ უნდა. დიდი შრომა დამჭირდება, ამ მხრივ ვითარება რომ შევცვალო. მაგრამ, ვიმეორებ — მჯერა, რომ გუნდი თავის სიტყვას იტყვის.

**— თქვენ გამოუცდელობაზე და ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობაზე ისაუბრეთ. ამავე დროს, არის ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორიც: გუნდი ლიგიდან ლიგაში გადასვლის წინასწარ ისახავს მიზნად. ვთქვათ, „მერანი-91" და „სამგურალი" ჩემპიონატის დაწყებამდე გეგმავდნენ I ჯგუფში გადასვლას. თქვენ კი ეს „შევარდენთან" ფინანსური შეთანხმების საფუძველზე მოახერხეთ. იქნებ შთაბეჭდილება, რომ გასაზრდელად მოთამაშეებს ერთი წელი დააკლდათ...**

— იცით, მართალია... ასეთი შესაძლებლობის შესახებ მაშინ შევიტყვეთ, II ლიგაში მე-9 ტური რომ მიმდინარეობდა. გუნდის დაბალ ლიგაში დარჩენა საცოდაობა იყო, მეტს იმსახურებდა, მაგრამ საპირველჯგუფოდაც რაღაც აკლდა. ეს „რაღაც" მომწიფება და მაღალ ლიგისთვის მომზადება იყო, უპირველესად — ფსიქოლოგიურად. შესაძლოა, ცოტა ნაადრევადაც კი შევაღეთ I ჯგუფის კარი, მაგრამ, ვიმეორებ, ბიჭების შესაძლებლობებისა მჯერა და აუტსაიდერის პოზიცია გუნდის პოტენციას ნამდვილად არ შეესაბამება. თანაც, მეტად არახელსაყრელი კალენდარი გვაქვს. პირველი შვიდი შეხვედრიდან ხუთი სტუმრად გველის. ეს კი დებიუტანტს რთულ მდგომარეობაში აგდებს.

**— თუ გუნდს გარკვეული პოტენციალი გააჩნია, კალენდარმა არ უნდა შეაშინოს. პირიქით, ასეთ თამაშებში უფრო შეიძენს გამოცდილებას...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ, ხომ ხედავთ, როგორ ვითარებაში ჩავვარდით? და მაინც, თუკი ყველაფერი, მათ შორის მსაჯობაც, ნორმალური იქნება, ცუდი კალენდარიც ვერ დაგვაბრკოლებს.

**— თქვენგან განსხვავებით I ჯგუფში გადმოსულ „მერანს" ფეხბურთელთა დიდი არჩევანი ჰქონდა. თქვენ კი ბევრი ახალი მოთამაშე არ მიგიწვევიათ ავერ უკვე ექვსი წლის გუნდში დამყარებული ერთსულოვნების ატმოსფეროს დარღვევის ხომ არ გეშინოდათ?**

— არაა, მსგავსი ფიქრი არც მომსვლია. გაძლიერება და ახლების მოწვევა როგორ არ გვსურდა, მაგალითად, აბუსერიძისა და გოდერძიშვილის. მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა მათთან ვერ მორიგდა. თუმცა ახლა ჩუხუას ვიმატებთ. ვფიქრობ, მისი გადმოსვლით თავდასხმა გაძლიერდება და საგოლე მომენტების რეალიზაციის შანსებიც გაიზრდება. ჩვენ სწორედ გოლეადორი გვაკლდა.

**— ჩუხუას გარდა ვინმეს დამატებას კიდევ აპირებთ?**

— ახლა ჩემპიონატი დაწყებულია და ჩვენთვის სასურველი თავისუფალი მოთამაშეებიც ჯერჯერობით არ მეგულება. თუმცა გუნდის გასაძლიერებლად ხალხი ნამდვილად გვჭირდება.

**— გუნდის წარმატებასა თუ წარუმატებლობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფინანსური მდგომარეობა. თქვენთან ამ მხრივ როგორი ვითარებაა?**

— ძალიან ნორმალური. მართალია, დიდი თანხების მფლობელნი არ ვართ, მაგრამ გუნდის პრეზიდენტი ზაალ ცხვარაძე პირობას პუნქტუალურად და პირნათლად, ყოველგვარი შეყოვნების გარეშე ასრულებს.

**— რამდენადაც ვიცი, სეზონის წინ თქვენი მოთამაშეებით I ჯგუფის ლიდერები იყვნენ დაინტერესებულნი...**

— I ჯგუფში რომ არ მოვხვედრილიყავით, რამდენიმე ფეხბურთელთან შელევა მოგვიხდებოდა — ვერემჩუკთან, ჩიგოშვილთან, საბიაშვილთან, ქორიძესთან, როსტიაშვილთან... ეს ბიჭები კი გუნდის ბირთვს შეადგენენ.

**— როგორც მსმენია, თქვენ დიდ ყურადღებას უთმობთ ფიზიკურ მომზადებას. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუ გაქვთ ისეთი კვება, მოთამაშემ დიდ დატვირთვას რომ გაუძლოს?**

— სხვათა შორის, ამის თაობაზე ერთ ასაკოვან და გამოცდილ სპეციალისტს ვეკამათე. მეუბნებოდა, ბიჭებს ამხელა დატვირთვა გამოფიტავსო. მე კი ასე არ მიმაჩნია. ამის გამო კინაღამ ვიჩხუბეთ კიდეც. მოთამაშე აუცილებლად კარგად გამოკვებილი უნდა მოვიდეს და ამის შესახებ ვეკითხები კიდევაც ყველას. მეც მესმის, რომ ნორმალური კვების გარეშე დიდი დატვირთვები კაცს გამოფიტავს. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა ძალიან მიშლის ხელს. ისეც ყოფილა, რომ ფეხბურთელი მატჩზე მშიერი მოსულა და უთქვამს, დღეს ვერ ვითამაშებო. მაგრამ, ვიმეორებ, ამასაც ვაქცევ ყურადღებას.

**— თქვენ ფირმ-კლუბიც გყავთ. საინტერესოა, რომელიმე საფეხბურთო სკოლასთან თუ თანამშრომლობთ და თუ ილებთ სტაბილურად შევსებას?**

— „ფეიქარის" საფეხბურთო სკოლაში გაიზარდნენ როსტიაშვილი, ჩიგოშვილი, ვერემჩუკი. იქ ჟანი ლეჟავა მუშაობს. ამ რამდენიმე წლის წინ ჩემი ბავშვთა გუნდი „ფეიქართან" გაერთიანდა. სხვათა შორის, ამ სკოლას კარგი ბიჭები გაუზრდია. ახლა „შევარდენის" სტადიონზე გადავედით და „შევარდენის" ბავშვთა სკოლაც შეგვეშველება.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

„შევარდენის" გამოზრდილი კობიაშვილი

**მერაბ მამულაშვილი**

# ჩელე უმუშევარია



როგორი გამოუცნობიც იყო რევაზ ჩელებაძე საფეხბურთო მოედანზე, ისეთივე დარჩა ცხოვრებაში. ხან რა საქმეს მოჰკიდა ხელი, ხან რას, რამდენჯერმე „ბათუმის" პრეზიდენტიც იყო, მაგრამ მუდამ რაღაც ხელისშემშლელი მიზეზი თუ გარემოება გამოუჩნდებოდა და თავის საყვარელ საქმეს — ფეხბურთს დროებით ჩამოშორდებოდა ხოლმე. ასე იყო ბოლო ხანსაც — „ბათუმის" პრეზიდენტის პოსტზე სულ რამდენიმე თვე დაჰყო. არადა, კლუბმა მის ხელში საქართველოს თასის ფინალსაც მიაღწია და ევროტურნირის საგზურიც მოიპოვა. ფინალის მერე რევაზ ჩელებაძის ბრძანებით გუნდის მთავარი მწვრთნელი ვალერიან ჩხარტიშვილი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს, მცირე ხანში კი მის გზას... თავად პრეზიდენტიც მიჰყვა. საფეხბურთო კულუარებში ამბობდნენ, სწორედ ეს ნაბიჯი არ აპატიესო. ბატონ რევაზს შემთხვევით შევხვდი ეროვნულ სტადიონზე და რა გული გამიძლებდა, არაფერი მეკითხა მისი გუნდიდან განთავისუფლებისა თუ მომავალი გეგმების შესახებ...

**— ბატონო რევაზ, სანამ თქვენს განთავისუფლებაზე გკითხავდით, ჯერ ჩხარტიშვილის გუნდიდან გაშვების მიზეზზე გვითხარით. მის ხელში გუნდს არცთუ ურიგო შედეგები ჰქონდა...**

— ფეხბურთის ყველაზე დიდი გულშემატკივარი და მოამაგე ვინც არის აჭარაში, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. სეზონის წინ გუნდის საჭიროებისთვის გამოიყო თანხა, საკმაოდ სოლიდური, „ბათუმმა" კი ჩემპიონატი მეექვსე ადგილით დაამთავრა, თანაც მეხუთე ადგილს კარგა გვარიანად, ათი ქულით ჩამორჩა. მე კი მიმაჩნია, რომ „ბათუმი", რომელიც შესაძლებლობით, შემადგენლობით, ხელშეწყობით და ტრადიციებითაც საქართველოში მხოლოდ თბილისის „დინამოს" თუ ჩამოუვარდება, სწორედ მას უნდა ეცილებოდეს ჩემპიონობას და არა მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის იბრძოდეს.

**— კი მაგრამ, თასზე ხომ ასეც მოხდა: ფინალში გახვედით და მხოლოდ „დინამოსთან" დათმეთ, ისიც მინიმალურად...**

— ეს ასეც იყო, მაგრამ, თუ გახსოვთ, მეოთხედფინალში ძალზე გაგვიმართლა, როცა მეორეჯგუფელი „აკადემია" შეგვხვდა. ჩხარტიშვილი, უდაოდ, კარგი მწვრთნელია, მაგრამ მისი შეხედულებანი ფეხბურთზე სამოციანი წლების დონეს ვერ გასცდა. გუნდმა დაკარგა თავისი სახე. გარდა ამისა, მთავარმა მწვრთნელმა მართლაც გადააჭარბა თავის მოვალეობას, როდესაც ფინალის წინ ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, თბილისის დინამოელებს მსაჯები მუდამ ემხრობოდნენ და თუ წელს ასე არ იქნა, თასს მოვიპოვებთო. მწვრთნელს არა აქვს ასეთი განცხადების გაკეთების უფლება, მითუმეტეს, უსაფუძვლოსი.

**— გავიდა დრო და თქვენც მწვრთნელის გზას გაგიყენეს...**

— მე ერთ რამეში შევცდი — საქმის კურსში არ ჩავაყენე აჭარის ხელმძღვანელობა, რომელიც გუნდს პატრონობს და ჩემით, ერთპიროვნულად მივიღე მწვრთნელის მოხსნის გადაწყვეტილება. როდესაც ამხელა ყურადღებას გაქცევენ, კეთილი უნდა ინებო და ზემდგომნი საქმის კურსში ჩააყენო. მე ეს არ გავაკეთე და ამისთვისაც დავისაჯე. ვთვლი, რომ სამართლიანადაც...

**— პირადად მე ჩელებაძე უფეხბურთოდ ვერ წარმომიდგენია...**

— რას იზამ, ცხოვრება ბევრ რამეს შეგამთხვევს. ამასვლას ჩამოსვლა მოსდევს და პირიქით. იმედი მაქვს, ჩემი მეგობრები არ მიმატოვებენ გასაჭირში და რაღაც სამუშაოს გამომინახავენ.

**— ოდესმე დაუბრუნდებით ფეხბურთს?**

— ალბათ. მე ერთი რამე ვიცი: რეზო ჩელებაძე აჭარაში დაიბადა და თუკი რამ შეუძლია, ამ კუთხის ფეხბურთს უნდა შესწიროს. უშეცდომო არავინაა. ალბათ მეც შევცდარვარ, მაგრამ მერე, როცა დავფიქრდები ხოლმე, შეცდომებს ვაღიარებ. რაც შეეხება ჩემს შემდგომ გადაწყვეტილებას, შოთა ჭეიშვილის „ბათუმში" მოწვევას ვგულისხმობ, შედეგი ცხადია, ჩემპიონატშიც და ევროთასებზეც. რაში რაში და, ფეხბურთში რაღაც ნაღდად გამეგება.

**მამუკა კვარაცხელია**

# გაუბედურებულ ვარსკვლავთა სამჭედლო

## თბილისის „დინამოს“ მეტოქე

„ტორპედო-ლუჟნიკი“ მოსკოვი, რუსეთი
დაარსდა 1924 წელს.
საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი (1960, 1965, 1976 — შემოდგომა)
საბჭოთა კავშირის თასის ექვსგზის მფლობელი (1949, 1952, 1960, 1968, 1972, 1986)
რუსეთის თასის მფლობელი (1993)

### ჯერ კიდევ პროლეტართა სამჭედლო

ეს ნორმალურ ქვეყანაშია — საფეხბურთო თუ სხვა სპორტული კლუბების დაარსებასთან დაკავშირებული ყოველი ფაქტი დიდის რუდუნებით რომ შემოუნახავთ და ლამისაა, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზეა დაარსებულიო, რომ ახსოვთ. ჩვენში და, საერთოდ, ყოფილ საბჭოურ სივრცეში საფეხბურთო კლუბების შექმნისა და ჩამოყალიბების თაობაზე ბუნდოვანი ცნობებია მხოლოდ. გნებავთ, თბილისის „დინამო“ აიღეთ, გნებავთ, მისი მეტოქე უეფას თასზე მოსკოვის, აწ უკვე „ტორპედო-ლუჟნიკი“.

მოსკოვის სამხრეთით, 1924 წელს ჯერ მხოლოდ გარეუბნად რომ მოიხსენიებოდა, დიდი ავტოქარხანა იყო. იმდენად დიდი, რომ როცა იქაურმა მუშათა კლასმა ფეხბურთის თამაში დაიწყო, ქარხნის პირველობაზე 60-მდე საამქროს გუნდი მოგროვდა. სწორედ ამ ქარხანაში იყო მუშათა სპორტული კლუბი „პროლეტარსკაია კუზნიცა“, დღევანდელ „ტორპედოს“ წინამორბედად რომ ეთვლება. მერე ქარხანასაც და საფეხბურთო გუნდსაც, ცხადია, ათასჯერ შეეცვალა სახელი — გუნდს ხან რ.დ.პ.პ. ერქვა, ხან ა.მ.ო., ხანაც ზ.უ.ც., 1936 წლიდან წლევანდლამდე კი „ტორპედო“. ორიგინალობით არც ავტოქარხანა გამოირჩეოდა — რა თქმა უნდა, სტალინის სახელობისა იყო, მერე კი ლიხაჩოვისა გახდა. თუმცა, ეს ახლა ვილას აინტერესებს, ასე რომ, სჯობს ისევ ფეხბურთს მივხედოთ. მითუმეტეს, რომ თქვენი არ ვიცი და, „პროლეტარსკაია კუზნიცასა“ და მსგავს აბდაუბდაზე წერა იმ ავსა და შავ დროს მაგონებს, ერთი დიდი ქვეყანა ერთ დიდ „კუზნიცად“ რომ იყო ქცეული.

### მართლაც მუშები

დაარსებიდან ერთ წელიწადში ქარხნის გუნდი მოსკოვის პირველობაზე დაუშვეს. დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია, 1927 წელს კი მოსკოვის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა შეამცირეს და რ.დ.პ.პ.-ც ქვედა ჯგუფში აღმოჩნდა. სამ წელიწადში ისევ უმაღლესს დაუბრუნდა, 1932 წელს კი პირველი „დიდი“ წარმატება იზეიმა — ვეცეესპეესის (პროფკავშირების) პირველობა მიიღო. იმხანად გუნდში შიგადაშიგ მართლაც გამოერეოდნენ ხოლმე ნამდვილი მუშები. აი, თუნდაც ვიქტორ მასლოვი (დაიბადა 1910 წელს), ვინც მომავალში განთქმული მწვრთნელი გახდა და „ტორპედოსა“ და კიევის „დინამოს“ რვაჯერ მოაპოვებინა ჩემპიონობა და ქვეყნის თასი. ამნაირები სხვებიც კი მოიძებნებოდნენ, მაგრამ დაიწყო თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, გუნდში ისეთივე ავტოქარხნელები (ძალიან კი უყვართ ჩვენში ეს სიტყვა) ათამაშდნენ, როგორი მენავთობეებიც „ედმონტონ ოილერზში“ არიან.

### „ბ“ ჯგუფში

1936 წელს ქარხანა სტალინის სახელობისა კი იყო, მაგრამ „ტორპედო“ განაწილებისას მაინც მეორე, „ბ“ ჯგუფში მოხვდა. ისევე როგორც თბილისის „დინამო“. ქართული გუნდი საზაფხულო პირველობაზევე „შეელია“ ქვედა ლიგას, „ტორპედო“ კი იქ 1938 წლამდე ჩარჩა. თუმცა, ამაზე ქვემოთ, ახლა კი ამ გუნდების პირველ თამაშზე ვთქვათ. იგი 1936 წლის 13 ივნისს მოსკოვში შედგა. ანგარიში მე-17 წუთზე ბორის პაიჭაძემ გახსნა. მანვე 64-ეზე პენალტით მეორე გაიტანა და, თუმცა ამ ორ გოლს შორის მოსკოველმა ემელიანოვმა ერთი შეაგდო, „დინამომ“ გაიმარჯვა. თბილისელებმა ამათ დანარჩენი მეტოქეებიც მიაყოლეს და პირველ ადგილზე გავიდნენ, „ტორპედო“ კი მეორეზე მოატოვეს. იმავე წლის შემოდგომაზე „ტორპედო“ მეოთხე ადგილზე გავიდა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და 1937 წლის სეზონისთვის გუნდის საფუძვლიანად მომზადება გადაწყვიტეს. მოსამზადებელი შეკრებაც კი მოაწყვეს ბათუმში, საიდანაც იქაური „დინამოს“ თავდამსხმელი კარიჩევი გააყოლეს ხელს. მოკლედ, ჩემპიონატი რიხით დაიწყეს, მაგრამ, ტრადიციულად, წინანდელზე ორი საფეხურით დაბლა ჩამოინაცვლეს — მე-6 ადგილი. ეტყობოდა, ეს გუნდი „ა“ ჯგუფში გადამსვლელი რომ არ იყო, მაგრამ მაშინ საბჭოეთში (ახლაც, ზოგიერთ ქვეყანაში) ამგვარი პრობლემები იოლად გვარდებოდა — უმაღლესი ჯგუფი გააფართოვეს და იქ, სულაც რომ არ ეკუთვნოდა, ქვედაში მეექვსე ადგილზე გასული „ტორპედოც“ შეაკვეხეს ისე, არასპორტულად, მაგრამ ჭკვიანურად კი მოქცეულან — მას მერე ეს გუნდი უმაღლეს ლიგას არ მოსცილებია.

### უცხოელ მუშათა რისხვა

1938 წლის ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში, შინ, ხარკოვის „სპარტაკთან“ „ტორპედომ“ 2:2 ითამაშა. ასეთი იყო ამ გუნდის დებიუტი უმაღლეს ლიგაში. მთლად წარმატებული, ცხადია, არ ეთქმის, მაგრამ მერე და მერე „ტორპედო“ ათამაშდა: მოსკოვის „მეტალურგს“, მოსკოვის „სპარტაკსა“ და ლენინგრადის „სტალინეცს“ (5:1 სტუმრად) რომ მოუგო, 3 ივნისს სენსაციასაც გამოჰკრა ხელი — კიევის „დინამო“ 5:1 დაამარცხა. ეს რა გუნდი დადგაო — იფიქრეს საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელმა ამხანაგებმა და „ტორპედო“, სხვა კლუბების სამი ფეხბურთელით გაძლიერებული, პარიზს აფრინეს. იქ საფრანგეთის მუშათა სპორტული ფედერაციის იუბილეზე „ავტოქარხნელებმა“ სულ ნაცარტუტად აქციეს საწყალი გუნდები, მართლა მუშებით რომ იყვნენ დაკომპლექტებულნი: ჩეხი პროლეტარები 8:0 გაანადგურეს, ნორვეგიელები — 6:0, ნიცელი ფრანგები — 6:1 და ბარსელონელები — 14:1. ევროპელებს შრომისა და ბურთაობის ხალისი რომ დაუკარგეს, მოსკოველები შინ დაბრუნდნენ და ლიდერის რანგში.. თბილისის „დინამო“ მიიღეს. ეს იყო ამ გუნდების პირველი მატჩი საკავშირო უმაღლეს ლიგაში. 70 ათასამდე მაყურებლის თვალწინ ჩვენი „დინამო“ 26-ე წუთისთვის 3:0-ს იგებდა. მალე მასპინძლებმა პენალტიც ვერ შეაგდეს, მაგრამ შესვენებამდე ანგარიში უკვე საყაიმო იყო. მეორე ტაიმში კი გოლი აღარ გასულა. ის ჩემპიონატი „ტორპედომ“ მეცხრე ადგილზე დაასრულა.

### ამისთვის უსვრია...

– ოღონდ არა „აერორას“, არამედ — ჰიტლერს. ხუმრობა იქით იყოს და, ომის დროს „ტორპედო“ ნამეტანი გაძლიერდა მიზეზი ფრონტისთვის მეტად საჭირო ქარხნის კადრებით გაძლიერება გახლდათ. ახალ კადრებში, ცხადია, სხვა გუნდების ფეხბურთელებიც ერივნენ. 1943 წელს „ტორპედომ“ მოსკოვის (სსრკ ჩემპიონატი იმ წლებში არ თამაშდებოდა) თასი მოიპოვა, შემდეგ წელს კი — ქალაქის ჩემპიონობაც. სხვა რომ ომობდა, ესენი ტექნიკას ხვეწდნენ და აკი დაეტყოთ კიდეც: 1945 წელს განახლებულ საკავშირო ჩემპიონატში „ტორპედო“ მესამე ადგილზე გავიდა, 1947 წელს თასის ფინალში მოხვდა და, საერთოდაც, 1949 წლამდე ხუთეულს არ ჩამოსცილებია. იმავე 1949 წლის 4 ნოემბერს თასის ფინალში „ტორპედომ“ მოსკოვის „დინამოს“ 2:1 მოუგო და პირველად, გუნდის დაარსების 25-ე წლისთავზე, ქვეყნის თასი მოიპოვა.

### ტორპედოა თუ რეალი?

საბჭოთა კავშირის ისტორიაში „ტორპედო“ პირველი გუნდია, სადაც.. ლეგიონერები თამაშობდნენ, თუმცა ამას ასეთ ინტერპრეტაციას არავინ აძლევდა. ძველ გულშემატკივრებს ახსოვთ, რომ 40-იანი წლების ბოლოდან 60-იანების ბოლომდე „ტორპედოში“ გამოდიოდნენ არარუსი შესახედაობის და ჯილაგის მოთამაშეები: პაისი, ვარელა, გომესი, უსატორე, პოსუელო. არა, ცხადია, ავტოქარხანას აზრადაც არ მოუვიდოდა (თუ მოუვიდოდა, კარგ ჩიტსაც დაიჭერდა) უცხოელების ყიდვა. არც ვარელა იყო ის ცნობილი ურუგვაელი, 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიელთა „მარაკანაზე“ დასამარებას რომ უკაპიტნა. უბრალოდ, ესენი ესპანელ რესპუბლიკელთა იმ ოჯახებიდან იყვნენ, სამოქალაქო ომის დროს რომ მიატოვეს სამშობლო და საბჭოეთში გადმოსახლდნენ. ყველაზე ძლიერი მათ შორის ავგუსტინ გომესი იყო. იგი ემიგრაციამდეც კარგ ფეხბურთელად ითვლებოდა — 1937 წელს ბასკეთის ჭაბუკთა ნაკრების კაპიტანიც იყო. რუსეთში კი „ტორპედოს“ კაპიტანი გახდა და 1947-54 წლებში ამ გუნდის ღირსება 183 მატჩში დაიცვა.



ედუარდ სტრელცოვი

სიტყვა ლეგიონერებზე ჩამოვარდა. მართალია, მაშინ ქართველთა რუსულ კლუბებში თამაშს ლეგიონერობა არ ეთქმოდა, მაგრამ მაინც: 1949-52 წლებში „ტორპედოში“ თამაშობდა ქართველი თავდამსხმელი გაბიჩვაძე (54 მატჩი, 8 გოლი), 1956-62 წლებში — ცნობილი სლავა მეტრეველი (138 მატჩი, 31 გოლი), რომელიც შემდეგ თბილისის „დინამოში“ ბრწყინავდა. იყო კიდევ ერთი — მეკარე ანზორ კავაზაშვილი, ვინც ჯერ „დინამოში“ კი იყო, მაგრამ საფრანგეთის ტურნეზე რომ არ წაიყვანეს, აქაურობაზე გული აიცრუა და.. თბილისში რომ მეკარის განზრახვა გამჟღავნებულა, აეროპორტის მუშაკები გაუფრთხილებიათ — ეგ კაცი არსად გაუშვათო. კავაზაშვილიც ამდგარა, თბილის-ლენინგრადის რეისზე ერთ-ერთი მეგობრის, ვინმე გიორგი მეძველიას პასპორტით მოხვედრილა და.. მას მერე რუსეთშია. ისე, ამ პასპორტის ნამდვილი მფლობელი პირადად ჩემთვის ვინმე კი არა, უახლოესი ნათესავი ანუ მამაა..

### რას გვერჩოდნენ?

ბევრჯერ ყოფილა, „ტორპედოს“ ერთობ იდიოტურ ქვეყანაში რას არ შეიფიქრებდა კაცი (უფრო სწორად, არაკაცი) — 1959 წლის ცნობარებში წინა წელს ჩატარებული მატჩების ოქმებში გოლები კი არა, „ტორპედოს“ შემადგენლობაც კი [illegible] ათი კაცი (გვარებით) და სხვებით (?!) სტრელცოვი ციხიდან 1964 წელს გამოვიდა. 1965-70 წლებში კვლავ „ტორპედოში“ ითამაშა და კვლავ ბრწყინავდა.

ვალერი ვორონინი 1958-69 წლებში თამაშობდა „ტორპედოში“. ეს უნივერსალური ფეხბურთელი, ვალენტინ ივანოვის თქმით, „ასი მეტრით და ასი სვლით წინ იხედებოდა.“ ვორონინმა 66-ჯერ ითამაშა საბჭოთა ნაკრებში, ორჯერ ევროპის ნაკრების მაისური ეცვა, ორჯერ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად ალიარეს, ორჯერ მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს, 1964 წელს „ფრანს ფუტბოლის“ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენ გამოკითხვაში ათეულში მოხვდა..

ყველაფერი კარგი, ცუდი მხოლოდ ბოლო იყო — ყველასგან მიტოვებული გალოთდა და მერე, სადღაც, მიყრუებულ ადგილას იპოვეს მკვდარი.

..ბევრის აზრით, ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც სტრელცოვი და ვორონინი იყვნენ, რუსულ ფეხბურთს არც მანამდე ჰყოლია და არც მას მერე.



1949 წელი. მოსკოვის „ტორპედომ“ პირველად მოიპოვა სსრკ-ს თასი

გაუმწარებია ჩვენი „დინამო“ — თამაშითაც და არა მარტო ამით. ყველაზე ავადხსენებული სამი შემთხვევა იყო. პირველი 1946 წელს, როცა „დინამოს“ ერთი ქულა სჭირდებოდა ვერცხლის მედლების დასაუფლებლად, მაგრამ ბოლო მატჩში მოსკოვში „ტორპედოსთან“ 3:4 წააგო. არადა, იმ თამაშში ქართველებმა ლამის სასწაული ჩაიდინეს — დამთავრებამდე 9 წუთით ადრე 0:3-ს აგებდნენ, მაგრამ ღოღობერიძემ, ხარბედიამ და არომშიძემ სამი გოლი გაიტანეს და თითქოს საწადელსაც მიაღწიეს. აქ, სად იყო და სად არა, მასპინძელთა მცველი მოშკარკინი წავიდა წინ და.. მეორე შემთხვევა 1953 წელს იყო, როცა ტორპედოელთა (და სხვათა) საქციელმა „დინამოს“ უკვე ოქროს მედლები დააკარგვინა: ჩემპიონატის ბოლო მატჩში ქართველებმა დაამარცხეს „ტორპედო“ და ჩემპიონობაც მოიპოვეს. თამაშის მერე მასპინძლებმა მიულოცეს კიდეც სტუმრებს ისტორიაში პირველი ტიტული, მაგრამ მერე, ზემოთ, ძალიან ზემოთ გაახსენდათ, რომ ჩემპიონი მოსკოვის გუნდი უნდა ყოფილიყო და მატჩი.. მოსკოველ გულშემატკივართა უმსგავსო საქციელის გამო (?!) გადაათამაშეს. იოლია, ჯაფით ნაშოვნს რომ წაგართმევენ? „დინამომაც“ ის გადათამაშება 1:4 წააგო — მიხვდნენ, რომ ასე იყო საჭირო.

მესამედ „ტორპედოსთან“ ჭიდილმა „დინამოს“ თასი დააკარგვინა. 1960 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვში ჩატარებულ ფინალურ შეხვედრაში კიეველმა მსაჯმა ცაპოვეცკიმ ყველაფერი გააკეთა, რათა მოსკოველთა გუნდს რამდენიმე დღით ადრე მოპოვებული ჩემპიონობისთვის თასიც დაემატებინა. ქართველებმა გაუძლეს 12 კაცის შეტევას, ძირითადი დრო 3:3 დაამთავრეს, მაგრამ 120-ე წუთზე ტორპედოელთა ახლანდელი მწვრთნელის ვალენტინ ივანოვის მოულოდნელმა დარტყმამ ყველაფერი წყალში ჩაყარა.

1964 წელს „დინამომ“ ყველაფრისთვის შური იძია — ჩემპიონობისთვის დამატებით ტაშკენტის მატჩში დამატებით დროში 4:1 დაამარცხა „ტორპედო“.

### უბედური ვარსკვლავები

1954 წლის 4 აპრილს ხარკოვში „ტორპედო“ იქაურ „ლოკომოტივს“ ხვდებოდა. მეორე ტაიმში მოსკოველთა გუნდში ჩერნეცოვის ნაცვლად ედუარდ სტრელცოვი გამოვიდა. გოლიც გაიტანა. მაგრამ მაშინ არავის გაეგო ამ ფეხბურთელის გვარი-სახელი და ის გოლიც სხვას მიაწერეს.

1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე რამდენიმე დღით ადრე აწ უკვე ნაკრების წევრი სტრელცოვი დაიჭირეს — მას ქალის გაუპატიურება დაბრალდა. მაშინ უკვე ყველა იცნობდა სტრელცოვს, მაგრამ იმ

### სან სიროდან ტორპედომდე

1964 წლის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ საკავშირო ფედერაციამ 1965-66 სეზონის ჩემპიონთა თასზე სათამაშოდ არ გაუშვა. მომდევნო წელს გაჩემპიონებული „ტორპედო“ კი პირველი საბჭოთა გუნდი გახდა, ვინც ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. ტორპედოელთა დებიუტი 30 წლის წინათ, 1966 წლის 28 სექტემბერს შედგა მილანის „სან სიროს“ სტადიონზე. მეტოქე, სახელგანთქმული „ინტერი“, ელენიო ერერა რომ წვრთნიდა, ცხადი იყო, გაიმარჯვებდა, მაგრამ მოულოდნელად „ტორპედომ“ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. არადა, მაშინ მილანელებს ჰყავდათ ბურგნიჩი, ფაკეტი, სანდრო მაცოლა, ბრაზილიელი ჟაირი, ესპანელი ლუის სუარესი.. თამაშის დასაწყისში რუსმა ბრედნევმა ძელს გაარტყა ბურთი, რომელიც მერე ხაზზე დავარდა. სტუმრებს გოლიც ეგონათ, მაგრამ მსაჯმა, არაო. მერე კი გოლი კავაზაშვილის კარში გავიდა — მაცოლას დარტყმული ბურთი ვორონინს მოხვდა და ასხლეტით შევარდა — 1:0. საპასუხო მატჩი ფავორიტმა იტალიელებმა უკეთ ითამაშეს, თუმცა შეხვედრა 0:0 დამთავრდა და „ინტერი“ შემდეგ წრეში მხოლოდ იმ კინკილა გოლის წყალობით გავიდა.

მას მერე „დინამოს“ მეტოქემ კიდევ 15-ჯერ ითამაშა ევროთასებზე, თუმცა დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია. დრო და დრო „ტორპედო“ ცნობილ კლუბებს ამარცხებდა (ნაპოლი, მანჩესტერ იუნაიტედი, სევილია, მონაკო, შტუტგარტი), ზოგჯერ ერთი ნაბიჯი აკლდა აქამდე — მაგალითად, 1977 წელს, როცა ორი ნულოვანი ფრეს შემდეგ „ბენფიკასთან“ პენალტებით წააგო, ანდა 1982 წელს, როცა მიუნხენში საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე მეკარესთან პირისპირ გასულ იური სუსლოპაროვს რომ გაეტანა, „ტორპედო“ ცნობილ „ბაიერნს“ დაატოვებინებდა თასების თასის გათამაშებას. წლეულს, ჩვენი „დინამოსგან“ განსხვავებით, „ტორპედოს“ ერთი მეტოქის თავიდან მოცილება მოუხდა — სპლიტში 0:1 წაგების მერე შინ, „ტორპედოს“ სტადიონზე „ჰაიდუკს“ 2:0 მოუგო.

### ძალიან, ძალიან...

.. მინდა, რომ ამჯერად „ტორპედო“ დამარცხდეს. მართალია, ჩვენში ბევრია წინააღმდეგი, რომ ამ მატჩს პოლიტიკური ელფერი მიეცეს, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევი. და თუ რუსი ჟურნალისტები და კომენტატორები ამას ნახევრადშეფარვით აცხადებენ, ჩვენ ნურაფერს დავმალავთ — თბილისის „დინამომ“ მოსკოვის „ტორპედო“ აუცილებლად უნდა დაამარცხოს!

**ზურაბ მეძველია**

### „ტორპედო“ ევროთასებზე

| | | |
|---|---|---|
| 1966-67 | ჩთ | ინტერი (იტალია) — ტორპედო 1:0, 0:0 |
| 1967-68 | თთ | ტორპედო — მოტორი (ცვიკაუ, გდრ) 0:0, 1:0 |
| | | ტორპედო — სპარტაკი (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) 3:0, 3:1 |
| | | კარდიფ სიტი (უელსი) — ტორპედო 1:0, 0:1, 1:0 |
| 1969-70 | თთ | რაპიდი (ვენა, ავსტრია) — ტორპედო 0:0, 1:1 |
| 1973-74 | თთ | ტორპედო — ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი) 0:0, 0:2 |
| 1975-76 | უთ | ტორპედო — ნაპოლი (იტალია) 4:1, 1:1 |
| | | გალათასარაი (თურქეთი) — ტორპედო 2:4, 0:3 |
| | | დინამო (დრეზდენი, გდრ) — ტორპედო 3:0, 1:3 |
| 1977-78 | ჩთ | ბენფიკა (პორტუგალია) — ტორპედო 0:0, 0:0 (პ 4:1) |
| 1978-79 | უთ | ტორპედო — მოლდე (ნორვეგია) 4:0, 3:3 |
| | | ტორპედო — შტუტგარტი (გფრ) 2:1, 0:2 |
| 1982-83 | თთ | ტორპედო — ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) 1:1, 0:0 |
| 1986-87 | თთ | ჰაკა (ვალკეაკოსკი, ფინეთი) — ტორპედო 2:2, 1:3 |
| | | ტორპედო — შტუტგარტი (გფრ) 2:0, 5:3 |
| | | ბორდო (საფრანგეთი) — ტორპედო 1:0, 2:3 |
| 1988-89 | უთ | მალმიო (შვედეთი) — ტორპედო 2:0, 1:2 (დ.დ.) |
| 1989-90 | თთ | ტორპედო — კორკ სიტი (ირლანდია) 5:0, 1:0 |
| | | ტორპედო — გრასჰოპერსი (შვეიცარია) 1:1, 0:3 |
| 1990-91 | უთ | ტორპედო — გაის (გიოტებორგი, შვედეთი) 4:1, 1:1 |
| | | ტორპედო — სევილია (ესპანეთი) 3:1, 1:2 |
| | | ტორპედო — მონაკო (საფრანგეთი) 2:1, 2:1 |
| | | ბრონდბიუ (დანია) — ტორპედო 1:0, 0:1 (პ 4:2) |
| 1991-92 | უთ | ჰალეშერი (გერმანია) — ტორპედო 2:1, 0:3 |
| | | სიგმა (ოლომოუცი, ჩეხოსლოვაკეთი) — ტორპედო 2:0, 0:0 |
| 1992-93 | უთ | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — ტორპედო 0:0, 0:0 (პ 3:4) |
| | | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ტორპედო 5:2, 2:3 |
| 1993-94 | თთ | ტორპედო — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 1:0, 1:3 |
| 1996-97 | უთ | ჰაიდუკი (სპლიტი, ხორვატია) — ტორპედო 1:0, 0:2 |

## ინგლისი

### მე-4 ტური

### შეფილდი 2:1 ლესტერი

**შეფილდი:** პრესმენი, ანერტონი, ნოლანი, უოქერი, ვითინგემი, ჰირსტი (ბრაითი 76), ბუთი, ბლინკერი, სტეფანოვიჩი, კოლინზი, ჰამფრიზი (შერიდანი 66)
**ლესტერი:** კელერი, გრეისონი, უიტლოუ, უოტსი (მარშალი 70), უოლში, იზეტი, ლენონი, ტეილორი (პარკერი 70), კლარიჯი, ჰესკი, პრაიორი
**გოლი:** ჰამფრიზი (25), კლარიჯი (28), ბუთი (51)

„შეფილდ უენსდეიმ“ ოთხი თამაშიდან ოთხივე მოიგო და ასპროცენტიანი შედეგით პრემიერლიგის ცხრილს ლიდერობს. მომდევნო შეხვედრა შეფილდელებს კვლავ შინ, „ჩელსისთან“ აქვთ. „ლესტერთან“ კი „ჰილსბოროზე“ 2:1 დიდი ბრძოლის შედეგად გაიმარჯვეს. ანგარიში 25-ე წუთზე 19 წლის რიჩი ჰამფრიზმა გახსნა, სამ წუთში



„შეფილდი“ — „ლესტერი“: ლიდერმა ძლივს მოიგო

სტივ კლარიჯმა გაქვითა, მაგრამ მეორე ტაიმში, მასპინძელთა ახალმა, 2,65 მილიონიანმა შენაძენმა ენდი ბუთმა გამარჯვების გოლი შეაგდო.

პირველ ნახევარში, ორივე კარში ულამაზესი გოლი გავიდა. ჰამფრიზი, რომელიც დაშავებული მარკ პემბრიჯის ნაცვლად თამაშობდა და ნახევარდაცვაში, დევიდ ჰირსტის მომმარაგებლის ფუნქციას ასრულებდა, სტივ უოლშს დაუსხლტა და ოციოდ მეტრიდან ეფექტური ტრაექტორიით, „ლესტერის“ ამერიკელი მეკარის კეისი კელერის ბადეში შეაგდო. უნდა ითქვას, რომ სტუმრები დაბაბუნებულნი არ ყოფილან. შესაშურად მოთამაშე ტრიოს — ნილ ლენონა, მაზი იზეტი, სკოტ ტეილორი — წყალობით, შუა მოედანში ბურთს აკონტროლებდნენ და უმეტესხანს უტევდნენ კიდეც. 28-ე წუთზე მათი გარჯა დაფასდა: კლარიჯმა 22 მეტრიდან მოწყვეტილი დარტყმით თავდაჯერებით მოთამაშე კევინ პრესმენის კარი დალაშქრა, წონასწორობა აღადგინა და პრემიერლიგაში თავის გატანილ გოლებს დასაბამი დაუდო.

„უენსდეის“ ტაიმის მიწურულს შეეძლო დაწინაურება — გაი ვითინგემის პასი უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბუთს ახლო ძელთან თავზე დაასკუპდა, მაგრამ ბურთი საბოლოოდ კელერის ხელში აღმოჩნდა. მეორე ტაიმის მე-6 წუთზე ბუთმა თავისი მაინც გაიტანა. სპენსერ პრაიორის გრძელმა პასმა იგი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. მომენტი სწრაფად განვითარდა, კელერი გამოვარდა და ჩაწვა, მაგრამ თავდამსხმელმა გასრიალება და ბურთის ბადეში შეგდება მოასწრო.

„ლესტერმა“ დანებებაზე უარი თქვა, მოედანი დაიპყრო და გასათანაბრებლად ძალღონე არ დაიშურა, მაგრამ უშედეგოდ. საიმონ გრეისონმა ჩაჰკიდა, ჰესკიმ თაურით დაჰკრა, პრესმენმა კი ვერა გააწყო და ბურთი ხარიხას რომ გადასცა, შვებით ამოისუნთქა.

ბოლო წუთებში კვლავ მასპინძლებმა იძალეს და კინაღამ მესამეც გაიტანეს. დამატებულ დროში ვითინგემმა საჯარიმოს კიდიდან დაარტყა, თუმცა კელერმა ახტომა და ბურთის კუთხურზე გადაგდება შესძლო.

## პირველი დივიზიონი

მე-4 ტურის ბოლო მატჩი

### მანჩესტერ სიტი 2:1 ჩარლტონი

**მანჩესტერ სიტი:** იმელი, ფოსტერი, ჰილი (კერნაგენი 36; ქრინი 50), ლომასი, საიმონსი, კლაფი, სამერბი, ბრაუნი, დიკოვი, ქინქლაძე, როსლერი
**ჩარლტონი:** სელმონი, ბერნესი, სტაუარტი, ჯოუნზი, ჩეპლი, ბელმერი, ნიუტონი, ლიბერნი, რობინსონი, ვაიტი (ალენი 67), მორტიმერი
**გოლი:** ნიუტონი (27), როსლერი (83 პ), ქრინი (87)
**გაფრთხილება:** ფოსტერი, ბრაუნი, დიკოვი, ბერნესი, ჯოუნზი, ჩეპლი

ფრიად უცნაური თამაში გაიმართა, უსამართლოც კი. უმწვრთნელო „მანჩესტერ სიტი“ შინ ნიუტონისგან გაშვებული გოლით აგებდა და უდაოდ წააგებდა კიდეც, მსაჯი ტრევორ ვესტი რომ არა. თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე არბიტრმა ნიუტონისა და პოლ დიკოვის ორთაბრძოლისგან ისეთი პენალტი გამოიგონა, „მეინ როუდზე“ შეკრებილი 26 ათასი ქომაგიდან, ყველაზე მეოცნებე და ქოსატყუილაც რომ ვერ წარმოიდგენდა. გერმანელმა უვე როსლერმა ანგარიში გაქვითა, ხოლო ოთხ წუთში ცრუ თერთმეტმეტრიანის მიერ გამოწვეული ქაოსითა და ეიფორიით ქრინიმ ისარგებლა და „სიტის“ სამი ქულა მოაპოვებინა.

„ჩარლტონ ატლეტიკმა“ იმ დღეს, თუმცა წააგო, მასპინძლებს აჯობა. 26-ე წუთზე მანჩესტერელი გულშემატკივარი საკუთარი მეკარით უკმაყოფილო დარჩა. აიკე იმელმა ახლო კუთხე უმეთვალყურეოდ დატოვა და ნიუტონს გოლის გასატანი ადგილი დაუტოვა. 36-ზე მასპინძლებს სკოტ ჰილი მოაკლდათ, რომელსაც მუხლი დაიზიანა, მის ნაცვლად შესული ალან კერნაგენიც 50-ზე დაშავდა და ასე შევიდა მოედანზე გადამწყვეტი გოლის ავტორი გერი ქრინი.

„სიტის“ მეორე მწვრთნელი, აზა ჰართფორდმა ამ შეხვედრაში ექსპერიმენტიც ჩაატარა, ლიბეროდ ნაიჯელ კლაფი ათამაშა. უვე როსლერმა კი თანაგუნდელები მოედანზე ლამის ათნი დატოვა. გერმანელი ისევ არბიტრს უნდა უმადლოდეს, მოედნიდან რომ არ გააძევა. საქმე ის იყო, რომ როსლერმა მეტოქის კაპიტანს სტიუარტ ბელმერს სახეში თავი დაარტყა. ბელმერს გორაობა და ვიშვიში არ დაუწყია, მსაჯმა კი ეს ეპიზოდი ჩაყლაპა.

ისე, ლონდონელმა სტუმრებმა მარცხი მარტო მსაჯს არ უნდა დააბრალონ. მათ მოთამაშეებს ნიუტონს, რობინსონს, ჯოუნზს, მორტიმერს და ლიბერნს გოლის გატანის მშვენიერი შესაძლებლობები ჰქონდათ, მაგრამ ხელიდან გაუშვეს. წარმოიდგინეთ, რომ შეეყარათ...

რაც შეეხება მანჩესტერელთა ახალ მწვრთნელს, იგი არ ჩანს. ეტყობა, „არსენალის“ ფოჯილი ხელმძღვანელის, ჯორჯ გრემის უარმა კლუბი ჩიხში შეიყვანა; ჯერჯერობით გუნდს მეორე მწვრთნელი, ჰართფორდი უძღვება. აგორდა ჭორი, რომ მან შესაძლოა „სიტის“ სრული თავკაცობა ითაოს, მაგრამ „ჩარლტონთან“ თამაშის დღეს ჰართფორდმა იგი გააქარწყლა:

— მე მწვრთნელის ასისტენტი ვარ და ბოლო დღეებში მხოლოდამხოლოდ სხვის მოვალეობას ვასრულებ. მწვრთნელობაზე სიტყვაც არ დამცდენია, ვფიქრობ საამისოდ მზად არ ვარ. საჭიროა ახალი ხელმძღვანელი, თუმც კარგად ვხვდები, რომ მან შეიძლება ჩემს ადგილზე თავისი კაცი მოიყვანოს, მე კი „სიტის“ დატოვება მომიხდეს. დახეთ, რა ხდება: რაც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ალექს ფერგიუსონი წვრთნის, ჩვენ ამ ხანში რვა სპეციალისტი გამოვცვალეთ. „სიტის“ მწვრთნელობა საპატიოა. მართალი რომ ვთქვათ, დიდი გუნდების სიმრავლით ვერც პრემიერლიგა დაიკვეხნის, ასე, რომ ჩვენს გაძლოლაზე ცხვირს ვერავინ აიბზუებს. „სიტის“ შეუძლია მალე კვლავ აღზევდეს, მაგრამ საამისოდ იღბალი და ფულია საჭირო.

სანამ ახალ მწვრთნელს გამოძებნიან, მანჩესტერელებს, აზა ჰართფორდი უხელმძღვანელებს — როგორც „ჩარლტონთან“ შეხვედრაში. მას არც სიახლეების მორიდება: მაგალითად, მიხეილ ყაველაშვილი სათადარიგოთა სიაშიც არ შეიყვანა, ძირითადში კი მის ადგილას პოლ დიკოვი ათამაშა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| სტოკ სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:4 | 10 |
| ბარნსლი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ნორვიჩი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| ტრანმერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| ქუინზ პარკი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ვულვზი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| სვინდონი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბრედფორდი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:4 | 6 |
| სიტი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 6 |
| პორტსმუთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| იფსვიჩი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:7 | 5 |
| კრისტალ პალ. | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| პორტ ვეილი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ბირმინგემი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ჰადერსფილდი | 3 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| რედინგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:10 | 4 |
| ოქსფორდი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:5 | 3 |
| ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| შეფილდი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:5 | 1 |
| ოლდემი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:9 | 1 |
| გრიმსბი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |
| ჩარლტონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| საუთენდი | 4 | 0 | 1 | 2 | 2:10 | 1 |

## საფრანგეთი

### მე-5 ტური

„მონაკომ“ „ლანსი“ გაანადგურა 5:1. მასპინძელთაგან ორი გოლი ნიგერიელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ იკპებამ გაიტანა. პირველად იკპებამ სასტარტო სასტვენისთანავე შეაგდო. მისი ჯარიმა უზადო იყო. ექვს წუთში ნიგერიელმა მეორე გოლიც მიაყოლა. მესამე, 27-ე წუთზე სელივან ლეგვინსკიმ გაიტანა, 12 წუთის შემდეგ კი ბელგიელმა ვარსკვლავმა ენცო შიფომ ანგარიში ოთხამდე გაზარდა. მეორე ნახევარი სხვაგვარი გამოდგა. „ლანსი“, რომელიც საწყისი ოთხი თამაშის შემდეგ უდანაკარგოდ, ოთხივე მოგებით მიდიოდა, მეორე ტაიმში სახეცვლილი წარსდგა და ფრედერიკ დეჰუს ავტოგოლი რომ არა (89-ე წუთზე), მეხუთეს არც გაუშვებდა.

**მონპელიე — პარი სენ-ჟერმენი 0:3, ბორდო — ბასტია 3:1, სტრასბური — ოსერი 2:1, კაენი — მეცი 0:0, ლილი — ნიცა 3:2, გინგამი — კანი 0:1, მარსელი — რენი 3:1, ნანსი — ლე ავრი 0:1, ნანტი — ლიონი 2:2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსჟ | 5 | 4 | 1 | 0 | 7:0 | 13 |
| ლანსი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:8 | 12 |
| მონაკო | 5 | 3 | 1 | 1 | 12:5 | 10 |
| ლილი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| კანი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| ბორდო | 5 | 3 | 0 | 2 | 6:3 | 9 |
| მარსელი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| ლიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| მეცი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ოსერი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| ბასტია | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| გინგამი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 7 |
| სტრასბური | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| ლე ავრი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| რენი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |
| კაენი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:6 | 3 |
| ნანტი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |
| მონპელიე | 5 | 0 | 2 | 3 | 3:8 | 2 |
| ნიცა | 5 | 0 | 1 | 4 | 5:10 | 1 |

ბომბარდირები

ალან კაველია (ლიონი) — 4, მილადინ მეჩანოვიჩი (ლილი) — 4, ანტონ დრობნიაკი (ბასტია) — 3, ჟან-პიერ პაპენი (ბორდო) — 3, ვლადიმირ შმიცერი (ლანსი) — 3, ჟან-ფილიპ დიურანი (მარსელი) — 3, ხავიერ გრაველინი (მარსელი) — 3, რობერ პირსი (მეცი) — 3, ენცო შიფო (მონაკო) — 3

## ჰოლანდია

**მეოთხე ტური: ფორტუნა — ფეიენოორდი 0:2. მეორე გოლი 26-ე წუთზე პენალტით რონალდ კუმანმა გაიტანა, რომელსაც სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გაუვიდა. ჰერენვენი — ბრედა 0:1, უტრეხტი — გრონინგენი 0:0**

## შოტლანდია

**ლიგის თასი. მესამე ეტაპი: ალბიონი — ჰიბერნიანი 0:2, დანდი იუნაიტედი — დანდი 4:2 პენალტებით (ძირითადი დრო 2:2), გრინოკ მორტონი — აბერდინი 3:7 (ძირითადი დრო 3:3), პარტიკი —ეირდრი 1:0, სენტ ჯონსტონი — პართსი 1:3 (ძირითადი დრო 1:1).**

## ინგლისი

**ლიგის თასი. პირველი ეტაპი.**
**ბარნეტი — ექსტერი 2:0 (ჯამში 6:0), ბარნსლი — როჩდეილი 2:0 (3:2), ბლექპული — სკანთორპი 2:0 (3:2), ბურნმაუთი — იფსვიჩი 0:3 (1:5), ბრედფორდი — შეფილდ იუნაიტედი 1:2 (1:5), ბრისტოლ სიტი — ტორკუეი 1:0 (4:3), ბარნლი — მენსფილდი 2:0 (5:0), ბარი — ნოთს ქაუნთი 1:0 (2:1), კემბრიჯი — ჰერეფორდი 1:1 (1:4), ჩესტერი — კერლისლი 1:3 (1:4), ჩესტერფილდი — სტოკპორტი 1:2 (2:4), ქრუ — პორტ ვეილი 1:5 (1:6), ფულემი — საუთენდი 1:2 (3:2), გილინგემი — სუონსი 2:0 (3:0)**

## გაზას ქველმოქმედება

ინგლისელმა ვარსკვლავმა პოლ გესქოინმა მოლდოვაში ყოფნისას უპატრონო ბავშვთა სახლი მოინახულა და ნანახმა შეძრა. იქ ორასამდე გოგონა შიმშილობს და გაზას თუ დავუჯერებთ, ზამთარში სიცივისგან კვდება.

— ჩვენ შესაძლოა მოლდოვას მოვუგეთ, მაგრამ ბავშვები წაგებულები არიან, — თქვა პოლმა — იქ ცხელი წყალი არ მოდის და ხამიდან თექვსმეტ წლამდე ბავშვები სამნი ერთ ლოგინზე წვანან.

გესქოინმა ამ ზამთრის გასატანად მოლდოველ მიტოვებულთათვის შესაბამის ორგანიზაციას 60 ათასი დოლარი გადაურიცხა.

# კანუს კარიერა დასრულდა!

მილანიდან მთელს დედამიწას გამგმირავი ცნობა მოედო. ოლიმპიური ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის მფლობელი, „აიაქსში“ ბრწყინვალე თამაშით სახელგანთქმული, ნიგერიის ნაკრების ვარსკვლავი ნვანკვო კანუ გულით ავადმყოფი ყოფილა. კანუ ოფიციალურად ორი კვირის წინ „ინტერში“ გადავიდა. 1 აგვისტოს მას 20 წელი შეუსრულდა.

სასიკვდილო არაფერია, მაგრამ ის, რაც კანუს სჭირს, სერიოზული დაავადებაა, რომელიც, შესაძლოა, ოპერაციას საჭიროებს. იტალიელი კარდიოლოგების თქმით, ფეხბურთელის კარიერის გაგრძელებაზე ლაპარაკი პრაქტიკულად გამორიცხულია. საქმე აორტის სარქველის უკმარისობას და ამ სარქველის შესაძლო გამოცვლას ეხება.

— მთავარია, რომ სენი აღმოჩენილია და ბიჭის მკურნალობა შეიძლება, — თქვა „ინტერის“ ექიმმა პიერო ვოლპიმ.

კანუ მშობლიური ნიგერიიდან სამი წლის წინ, 17 წლისა აიყარა და „აიაქსში“ გადავიდა. წლეულს თებერვლიდან მოყოლებული კი მისით მილანელები იყვნენ დაინტერესებული და ჰოლანდიელებს ივლისამდე ევაჭრებოდნენ. ბოლოს დაითანხმეს.

მილანელმა კარდეოლოგმა პროფესორმა ბრუნო კარუმ ვარსკვლავის მონაცემები შეისწავლა და განაცხადა:

— კატეგორიულად გამოვრიცხავ, რომ კანუ სამი თვის წინ ჯანმრთელი იყო. იგი წლების განმავლობაში გახლდათ ავად.

ეს სერიოზული ბრალდებაა. გამოდის, რომ „აიაქსში“ ან უვიცი ექიმები ჰყავთ, ან...

„ინტერს“ სრული უფლება აქვს ამსტერდამის გუნდს სასამართლოში უჩივლოს. მილანელთა პრეზიდენტმა, მენავთობე მაგნატმა მასიმო მორატიმ განაცხადა:

— ჩვენ ახლა ფეხბურთზე კი არა, ადამიანზე ვფიქრობთ. გვესმის მწარე სინამდვილე, მაგრამ თუკი სასწაული მოხდა და ბიჭი ოდესმე ფეხბურთს დაუბრუნდება, იგი მხოლოდ „ინტერში“ ითამაშებს. კანუ ფენომენი იყო და ჩვენ მისი დახმარებით საოცრებებს ჩავიდენდით. მისი ავადმყოფობა უდიდესი დარტყმა [illegible], მაგრამ ახლა გაყიდვაზე რომაც დაგვთანხმდნენ, არ ვიფიქრებთ. მე შემიძლია [illegible] იმე საქმე გამოვუნახო, თუ თავად იქნება თანახმა რაც დასჭირდება, ყველაფერს გავიღებთ. თუ საოპერაციოა, გვერდზე დავუდგებით.

საშინელმა ცნობამ შესძრა „ინტერის“ ყველა მოთამაშე, მეტადრე კი ჰოლანდიელი არონ ვინტერი.

— ვერაფრით გამიგია, პრობლემამ მხოლოდ ახლა რატომ იჩინა თავი. როცა ოთხი წლის წინ თავად ვთამაშობდი „აიაქსში“, სამედიცინო შემოწმებასაც გავდიოდი. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია ისაა, რომ აქ, იტალიაში, უფრო აკურატულნი არიან, ვიდრე ჰოლანდიაში.

კანუს სამი წლის განმავლობაში სეზონში 750 ათასი დოლარი უნდა მიელო. ახლა კი სრულიად დაზაფრულმა თქვა:

— არაფერი ვიცოდი. არავის უთქვამს. რა ვაკეთო მომავალში?

სხვა კომენტარი არ ყოფილა. ფეხბურთელს მარტოობა სურს.




## წლის მეორე ჩემპიონატი

არგენტინაში, მოგეხსენებათ, წელიწადში ორი ჩემპიონატია. ახლა დაიწყო პირველობა, რომელიც ივლისში დამთავრდება. მის პირველ ტურში „ბოკა ხუნიორსმა“ 2:3 წააგო „კოლონთან“, „ბანფილდმა“ და „ურაკან-კორიენტელსმა“ 1:1 ითამაშა, „დეპორტივო ესპანიოლი“ შინ „ლანუსთან“ დამარცხდა — 0:1, „ურაკანმა“ „სან ლორენცოსთან“ ფრედ 1:1 დაამთავრა, ხოლო „ხიმნასია ლა პლატამ“ — „ფერო კარილ ოესტეს“ 1:0 მოუგო.

## „ვილასთან“ წააგებს და წავა

შვედეთის რადიოს ცნობით, მეორე ადგილზე გასული „ჰელსინგბორგის“ თავდამსხმელი მარტინ პრინგლი ლისაბონის „ბენფიკაში“ გადადის. ტრანსფერის თანხაზე არაფერია ცნობილი. სამაგიეროდ ცნობილია, რომ მოთამაშე პორტუგალიურ კლუბს მას მერე შეუერთდება, რაც „ჰელსინგბორგი“ უეფას თასზე „ასტონ ვილასთან“ ორივე შეხვედრას ჩაატარებს. ასე გარიგებულ კლუბს, ეტყობა, შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი არა აქვს.

## მშვიდობით, სევილია!

ესპანეთის ნაკრები ამიერიდან მხოლოდ სევილიაში აღარ უმასპინძლებს მეტოქეებს. ეს ხუთშაბათს ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ გამოაცხადა. ნოემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევს სლოვაკებთან ესპანელები ტენერიფეში გამართავენ, შემდეგ კი სხვა ქალაქებსაც მოედებიან. გეგმავენ ვალენსიას, ლა კორუნიასა და ალიკანტეში თამაშს.

ამრიგად დასრულდა 30 წლიანი ეპოქა მეთორმეტე მოთამაშედ ცნობილი ქალაქის სტადიონზე, სადაც ესპანელებმა ერთადერთხელ, 1991 წელს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში წააგეს საფრანგეთთან. 1984-ში კი მალტას 12:1 მოუგეს. იმ შეხვედრაში მასპინძლებს ათბურთიანი სხვაობა სჭირდებოდათ.

ევროპის ბოლო ჩემპიონატის შესარჩევში ფინალურ ეტაპზე გასვლა გარანტირებული რომ ჰქონდათ, ესპანელებმა უკანასკნელი მატჩი ელჩეზე ჩაატარეს. იცოდნენ რა ეს, წინა თამაშში გაბრაზებულმა სევილიელებმა კლემენტეზე ისეთი სიმღერები შეთხზეს, რომ საბრალო მწვრთნელი ატირეს.

## ითხოვეს „სანტიაგო ბერნაბეუ“

სამშაბათს მადრიდის „ატლეტიკომ“ გამოაცხადა, რომ „ვისენტე კალდერონის“ სტადიონზე გაზონს მიხედვა სჭირდება და ამიტომ ჩემპიონატის თამაშს თანაქალაქელი „რეალის“ კუთვნილ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართავს. ოთხშაბათს კი ესპანეთის ჩემპიონი კვლავ თავის სტადიონზე გადაბარგდება და ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ბუქარესტის „სტიაუას“ უმასპინძლებს.

## რუმინეთი დროებით ნათდება

მომდევნო ოთხშაბათს და ხუთშაბათს ევროთასებზე ორი რუმინული გუნდი შინ ითამაშებს. ბუქარესტის „რაპიდი“ უეფას თასზე „კარლსრუეს“ უმასპინძლებს, ბისტრიცას „გლორია“ კი 24 საათის მერე თასების თასზე „ფიორენტინას“ შეებრძოლება.

ბუქარესტსა და ბისტრიცას შორის 425 კილომეტრი და ცუდი ტრასაა. ამის გახსენება იმად მოუხდათ, რომ არცერთ სტადიონს არ აქვს განათება, რომელიც ორივე შეხვედრის გადამცემ შვეიცარიულ ტელეკომპანიას ნორმალური ტრანსლაციისთვის სჭირდება. რუმინელებს იმედი აქვთ, რომ მოედნის გასანათებელ დროებით ოთხ კოშკს ერთი ქალაქიდან მეორეში დროულად ჩაიტანენ და ორივე მატჩს მოახმარენ.

## კრუიფი ჩივის

„ბარსელონას“ გადამდგარმა მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა კლუბს ესპანეთის სასამართლოში უჩივლა. კრუიფის ადვოკატები 100 მილიონ პესეტიანი (800 ათასი დოლარი) საქმის მოგებას უმიზნებენ. სასამართლოს მოუწევს იმის გარჩევა, კანონიერად დაითხოვეს თუ არა ჰოლანდიელი. დათხოვნის ოფიციალურ მიზეზად „საბედისწერო პროფესიული შეცდომებია“ ჩანიშნული. კრუიფმა ვექილებს სთხოვა ყურადღება მიაქციონ „ბარსელონას“ პრეზიდენტის ხოსე-ლუის ნუნიესის გამონათქვამებსაც. კერძოდ, ნუნიესმა მას იმ ჯგუფებისთვის თავის მიყიდვა დააბრალა, რომლებიც კლუბის მფლობელობის ხელში ჩაგდებას ლამობენ.

## გადაიფიქრეს

ჰოლანდიელმა მსაჯებმა გაფიცვა გადაიფიქრეს. მათ განზრახული ჰქონდათ თვის ბოლოს ჩემპიონატის ერთი კვირით ჩაშლა, მაგრამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა მატჩებისთვის განკუთვნილი გასამრჯელოს და სხვა საზღაურთა გაზრდა აღუთქვა. კონკრეტული თანხების შესახებ არაფერი თქმულა.

# სარბიელი

## სპორტული ლატარეა "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. მეხუთე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 სექტემბერი | | | |
| მიონხენგლადბახი — ჰამბურგი | 1,7 | 3,0 | 3,1 |
| ფრაიბურგი — ფორტუნა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| 7 სექტემბერი | | | |
| ბოხუმი — კარლსრუე | 2,2 | 2,7 | 2,2 |
| ზანქტ პაული — ვერდერი | 1,7 | 2,6 | 3,6 |
| ჰანზა — დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 1,8 |
| ბაიერნი — არმინია | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| დუისბურგი — შალკე | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ლევერკუზენი — მიუნხენ 1860 | 1,45 | 2,8 | 5,0 |
| 8 სექტემბერი | | | |
| შტუტგარტი — კიოლნი | 1,5 | 3,0 | 4,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. მეხუთე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 სექტემბერი | | | |
| კაიზერსლაუტერნი — მაინცი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| როტ ვაისი — ვოლფსბურგი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| 7 სექტემბერი | | | |
| მანჰაიმი — უნტერჰახინგი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ფორტუნა (კიოლნი) — ლაიფციგი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| 8 სექტემბერი | | | |
| ცვიკაუ — შტუტგარტერ კიკერსი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ლუბეკი — კარლ ცაისი | 1,8 | 2,8 | 3,0 |
| ოლდენბურგი — ურდინგენი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| გუტერშლოხი — ჰერტა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| 9 სექტემბერი | | | |
| აინტრახტი — მეპენი | 1,2 | 3,3 | 8,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. მეხუთე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ასტონ ვილა — არსენალი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ლიდსი — მანჩესტერ იუნაიტედი | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ლივერპული — საუთჰემპტონი | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| მიდლსბრო — ქოვენთრი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ნოტინგემი — ლესტერი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| შეფილდ უენსდეი — ჩელსი | 1,9 | 2,8 | 2,8 |
| ტოტენჰემი — ნიუკასლი | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| უიმბლდონი — ევერტონი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| 8 სექტემბერი | | | |
| სანდერლენდი — ვესტ ჰემი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| 9 სექტემბერი | | | |
| ბლექბერნი — დერბი ქაუნთი | 1,45 | 2,9 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. მეხუთე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7-8 სექტემბერი | | | |
| ვულვერჰემპტონი — ჩარლტონი | 1,2 | 3,4 | 7,5 |
| პორტსმუთი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| საუთენდი — ბოლტონი | 3,6 | 3,2 | 1,5 |
| სტოკ სიტი — კრისტალ პალასი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| რედინგი — ოქსფორდი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| მანჩესტერ სიტი — ბარნსლი | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ბრედფორდი — ნორვიჩი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| გრიმსბი — სვინდონი | 1,8 | 2,9 | 2,9 |
| იფსვიჩი — ჰადერსფილდი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ოლდემი — შეფილდ იუნაიტედი | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ქუინზ პარკი — ვესტ ბრომვიჩი | 1,3 | 3,2 | 5,6 |
| ტრანმერი — ბირმინგემ სიტი | 1,6 | 3,0 | 3,4 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. მეოთხე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| სელტიკი — ჰიბერნიანი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| ჰართსი — დანდი იუნაიტედი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| კილმარნოკი — დანფერმლაინი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| მოზერველი — რეინჯერსი | 5,6 | 3,2 | 1,3 |
| რეის როვერსი — აბერდინი | 1,8 | 2,8 | 3,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. მეექვსე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 სექტემბერი | | | |
| ბასტია — მარსელი | 1,4 | 2,9 | 5,3 |
| რენი — სტრასბური | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| ნიცა — ბორდო | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ოსერი — კაენი | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| ლილი — გინგამი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| მეცი — ნანსი | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| ლე ავრი — ნანტი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ლიონი — მონპელიე | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| პარი სენ-ჟერმენი — მონაკო | 1,45 | 2,8 | 5,0 |
| ლანსი — კანი | 1,2 | 3,3 | 8,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. პირველი ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ბოლონია — ლაციო | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| პარმა — ნაპოლი | 1,35 | 2,9 | 6,0 |
| რომა — პიაჩენცა | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| უდინეზე — ინტერი | 2,6 | 2,6 | 2,1 |
| 8 სექტემბერი | | | |
| კალიარი — ატალანტა | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ფიორენტინა — ვიჩენცა | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| მილანი — ვერონა | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| პერუჯა — სამპდორია | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| რეჯანა — იუვენტუსი | 3,6 | 2,9 | 1,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. პირველი ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| ბარი — ბრეშია | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| დი სანგრო — კოზენცა | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| კიევო — კრემონეზე | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| პალერმო — პესკარა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ჯენოა — ლუკეზე | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| პადოვა — ემპოლი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| რავენა — ვენეცია | 1,6 | 3,0 | 3,4 |
| რეჯინა — ლეჩე | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| სალერნიტანა — ფოჯა | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ტორინო — ჩეზენა | 1,25 | 3,2 | 7,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 7-8 სექტემბერი | | | |
| კომპოსტელა — ატლეტიკო | 2,4 | 2,9 | 2,0 |
| ლოგრონიესი — ტენერიფე | 2,1 | 2,5 | 2,7 |
| სევილია — სარაგოსა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ვალენსია — სოსიედადი | 1,25 | 3,2 | 7,0 |
| ხიხონი — სანტანდერი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ვალიადოლიდი — ოვიედო | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ბარსელონა — ესპანიოლი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ატლეტიკი — რაიო ვალეკანო | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ესტრემადურა — ბეტისი | 2,5 | 2,5 | 2,2 |
| რეალი — ერკულესი | 1,15 | 3,4 | 10,0 |
| სელტა — დეპორტივო | 1,8 | 2,8 | 3,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. მეორე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 8 სექტემბერი | | | |
| ბრაგა — ბელენენსეში | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ჟილ ვისენტე — ბენფიკა | 5,0 | 3,0 | 1,4 |
| სეტუბალი — გიმარაეში | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| უნიაუ ლეირია — პორტუ | 5,0 | 3,0 | 1,4 |
| შავეში — ლეცა | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| სალგეირუში — მარიტიმუ | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ეშტრელა — რიო ავე | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| სპორტინგი — ფარენსე | 1,1 | 3,8 | 11,5 |
| ბოავიშტა — ესპინიუ | 1,15 | 3,4 | 10,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. 26-ე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| დინამო — ცსკა | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| 6 სექტემბერი | | | |
| ტორპედო — როტორი | 2,2 | 2,5 | 2,5 |
| როსტსელმაში — ლოკომოტივი (მოსკოვი) | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| სპარტაკი — ტექსტილშჩიკი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 7 სექტემბერი | | | |
| ზენიტი — ჩერნომორეცი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ჟემჩუჟინა — ბალტიკა | 1,6 | 2,8 | 3,8 |
| კრილია სოვეტოვი — ნოვგოროდი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| კამაზი — ლადა | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| ურალმაში — ალანია | 4,7 | 3,1 | 1,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. მეოთხე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 სექტემბერი | | | |
| ზეითინბურნუსფორი — ტრაბზონსფორი | 7,0 | 3,6 | 1,2 |
| 7 სექტემბერი | | | |
| ბეშიქთაში — ქოჩაელისფორი | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 8 სექტემბერი | | | |
| გალათასარაი — ფენერბაჰჩე | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| ანკარაგიუჯუ — ბურსასფორი | 1,5 | 3,0 | 4,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. მეოთხე ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 სექტემბერი | | | |
| გრონინგენი — ჰერენვენი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| 7 სექტემბერი | | | |
| ფეიენოორდი — ვილემ II | 1,15 | 3,6 | 9,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| რაპიდი — ზალცბურგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ტიროლი — აუსტრია | 2,0 | 2,7 | 2,7 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| არაუ — სერვეტი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ქსამაქსი — სიონი | 1,45 | 2,8 | 5,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 სექტემბერი | | | |
| ანდერლეხტი — სერკლ ბრიუგე | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 8 სექტემბერი | | | |
| ბრიუგე — სტანდარდი | 1,5 | 3,0 | 4,0 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა (უმაღლესი ჯგუფები)
გერმანია. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9
ინგლისი. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9
საფრანგეთი. 23 და ნაკლები — 1,9; 25 და მეტი — 1,9
იტალია. 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

### ჰოკეი. მსოფლიო თასი. მეოთხედფინალები

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 სექტემბერი | | | |
| კანადა — გერმანია | 1,01 | 8,0 | 20,0 |
| 6 სექტემბერი | | | |
| ფინეთი — რუსეთი | 2,0 | 4,0 | 1,6 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

## CROCO-2

| ტირაჟი №61 | ტირაჟი №62 |
|---|---|
| 1. ბოხუმი — კარლსრუე | 1. კალიარი — ატალანტა |
| 2. ზანქტ პაული — ვერდერი | 2. პერუჯა — სამპდორია |
| 3. ჰანზა — დორტმუნდი | 3. რეჯანა — იუვენტუსი |
| 4. დუისბურგი — შალკე | 4. კომპოსტელა — ატლეტიკო |
| 5. მიდლსბრო —ქოვენთრი | 5. ლოგრონიესი — ტენერიფე |
| 6. ნოტინგემი — ლესტერი | 6. სევილია — სარაგოსა |
| 7. ბოლონია — ლაციო | 7. ესტრემადურა — ბეტისი |
| 8. უდინეზე — ინტერი | 8. სელტა — დეპორტივო |

# ყინულის ჰოკეი

## სადაც ჩეხი, სლოვაკიც იქაო

### მსოფლიოს თასი

წინა „სარბიელში" კანადა — სლოვაკეთის მატჩის მხოლოდ შედეგი — 3:2 კანადის სასარგებლოდ გაუწყეთ, ახლა კი ორიოდ სიტყვით თვით თამაშზე.

არავისთვის იყო საეჭვო, რომ კანადა სლოვაკებთან ორ ქულას იოლად აილებდა. მითუმეტეს, რომ ევროპელებმა მთელი ძალები რუსებთან შეხვედრას შეალიეს. მაგრამ პირველ პერიოდშივე ცხადი გახდა, რომ ფავორიტებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდათ მეტოქის დასამარცხებლად. ამის მიზეზი სლოვაკთა მეკარე მეგას საუცხოო თამაში გახლდათ. მას უკვე 20-მდე შაიბა ჰქონდა მოგერიებული, როდესაც 26-ე წუთზე დამფუსმა ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ ინიციატივა სლოვაკებმა იგდეს ხელთ, მეორე პერიოდში დაწინაურდნენ კიდეც და კანადელთა მეკარე ჯოზეფს სულ სიმწრის ოფლი ადინეს.

გაოცებულ-გაცოფებული კანადელები მდგომარეობის გამოსასწორებლად მესამე პერიოდში უხეშობასაც არ ერიდებოდნენ, თუმცა მსაჯს ეს უმეტეს შემთხვევაში „შეუმჩნეველი" რჩებოდა. საბოლოო გარდატეხა მატჩში კი ახლახან ტრავმამორჩენილმა აიზერმანმა შეიტანა. ჯერ ფლერიმ გაათანაბრა მისი გარღვევის შემდეგ, ხოლო 56-ე წუთზე დეტროიტელთა კაპიტანმა გამარჯვების შაიბა შეაგდო და ორი ქულა მოაპოვებინა თავის გუნდს. გამარჯვების მიუხედავად კანადელთა თამაშმა სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

#### აშშ — რუსეთი 5:2

ტურნირზე ყველაზე ძლიერად, ალბათ, აშშ-ის ნაკრები თამაშობს. მორიგი მატჩი მათ რუსებთან გამართეს, პირველი წუთიდანვე უსწრაფეს ტემპში ათამაშდნენ და მეტოქეს გონს მოსასვლელად წამიც არ დაუტოვეს. უკვე 25-ე წამზე ელვისებური იერიში განახორციელეს და დიდმარშმა თანაგუნდელები დააწინაურა. ეს ტურნირის ყველაზე სწრაფი შაიბაა. 7 წუთში ლეკლერმა მეორედ დალაშქრა ხაბიბულინის კარი.

ამის შემდეგაც თამაშს ამერიკელები აკონტროლებდნენ და მეორე პერიოდში კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიში. გერენმა, ლაფონტენმა (უმცირესობაში) და უეიტმა სამი შაიბა შეაგდეს, რუსებმა, კვერძოდ, ტვერდოვსკიმ, ამას ერთით უპასუხეს. მატჩის დასასრულს კოვალენკომ ერთი შაიბაც გაქვითა, თუმცა ყველაფერი უკვე ნათელი იყო.

ერთი სიტყვით, თუ ასეთი სწრაფი ტემპი და ფიზიკური მომზადება ამერიკელებმა ტურნირის ბოლომდე შეინარჩუნეს, კანადასაც გაუჭირდება მათი ძლევა. ამას დაუმატეთ ამერიკელთა ძალზე დაბალანსებული შემადგენლობა. თუ პირველ მატჩში უეიტის ტრიო (ჰალის მეთაურობით) გამოირჩეოდა, ამჯერად თავი მოედნის და ლაფონტენის ხაზებმა გამოიჩინეს.

ალსანიშნავია ერთი გარემოებაც: ამერიკელებს მკაცრად განსაზღვრული ოთხი სამეული ჰყავთ და მათი შეთამაშებაც აქედან მოდის. რუსები კი, რომელთა მოგონილიცაა ამგვარი განაწილება, რატომღაც თერთმეტი თავდამსხმელის გამოყენებას ამჯობინებენ (შესაბამისად, ხაზების გადაწყობაც უხდებათ). ეს მით უფრო გასაკვირია, რომ გუნდების უმრავლესობა აშშ-ის ნაკრებს ბაძავს.

აშშ — რუსეთის მატჩის შემდეგ აშშ და შვედეთი მეოთხედფინალისგან განთავისუფლდნენ. 5 სექტემბერს კანადა — გერმანიის თამაშია, 6-ში კი ფინეთი და რუსეთი ხვდებიან ერთმანეთს.

რაც შეეხება ამერიკული ჯგუფის ბოლო მატჩს ამერიკელებსა და სლოვაკებს შორის, მას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან სლოვაკეთი მაინც ბოლო ადგილზე რჩებოდა, ამერიკამ კი გაინალდა პირველი.

#### აშშ — სლოვაკეთი 9:3

ამის მერე რა გასაკვირია, რომ ამერიკამ 9:3 გადაუარა მეტოქეს და თან უმაღლესი კლასის თამაში აჩვენა. თუმცაღა, თავიდან სლოვაკები დაწინაურდნენ — „ვაშინგტონის" პეტერ ბონდრამ რიცხვმრავლობისას ანგარიში გახსნა მესამე წუთზე. ამერიკელებს სამი წუთი დასჭირდათ წონასწორობის აღსადგენად — „ფინიქს კოიოტზის" ფორვარდმა ქის ტკაჩუკმა ორკაციანი უპირატესობისას გაიტანა. პირველ პერიოდში ედმონტონელმა დეგ უეიტმა და ფილადელფიელმა ლეკლერმა ანგარიში 3:1 გახადეს. მეორე პერიოდში ტკაჩუკმა კიდევ ორი შაიბა შეაგდო, ტორონტოელმა მეტიუ შნაიდერმა — ერთი. ამას სლოვაკებმა სლავომირ ლიავსკის ერთი გოლით უპასუხეს.

მესამე პერიოდში ტკაჩუკმა შედეგიანი პასი მისცა დალასელ მოდანოს. მერე ამან კიდევ ერთი შეაგდო, ხოლო ამერიკელთა მეხუთე გოლი ფილადელფიელი ჯოელ ოტოს ანგარიშზეა. სლოვაკ ლუბომირ რობოვიჩის გატანილი ალარაფერს წყვეტდა.

**სამველ ღარიბიანი**

| ამერიკის ქვეჯგუფი | მ | ფ | წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 0 | 0 | 19: 8 | 6 |
| კანადა | 2 | 0 | 1 | 11:10 | 4 |
| რუსეთი | 1 | 0 | 2 | 12:14 | 2 |
| სლოვაკეთი | 0 | 0 | 3 | 10:18 | 0 |

# რაგბი

საქართველოს XXIX პირველობა

1. IX

| | | |
|---|---|---|
| გელათი | 25:20 | აია |
| დინამო | 0:19 | ლელო |

ვაკე

| | | |
|---|---|---|
| ქორები | 46: 7 | აზოტი |

(24:0). მსაჯი ლევან მგელაძე

ქორები — ზლ: ალანია - 2, გიუნაშვილი, ვართანიანი, ძნელაძე, კაცაძე, ჩხენკელი, ასათიანი; 3გ: ჩავლეიშვილი, ძნელაძე - 2

აზოტი — ლ: პავლიაშვილი; გ: აფციაური

2. IX. ვაკე

სინის VIII გათამაშება

| | | |
|---|---|---|
| გუმარი | 13: 6 | ყოჩები |

(6:6). მსაჯი (დრო): გოჩა აბაშიძე (41 + 44)

გუმარი (მოცილე): მაჩიტიძე; ბ. იურინი, ჯიმშელაძე, ჩიქვინიძე, ბუგიანიშვილი; შ. მოდებაძე, ჯანელიძე; მთიულიშვილი, ხუციშვილი, ცაბაძე; პარწიკანაშვილი, მჭედლიშვილი; ობოლაძე, კობახიძე (ქერდიკაშვილი, 50), დიდებულიძე. — ლ: ბუგიანიშვილი (46); გ (49) და 2ს (2, 35): მოდებაძე

ყოჩები (მფლობელი): ლიპარტელიანი; დუგლაძე (მხეიძე, 66), საკანდელიძე, ბარძიმიშვილი, წიკლაური; ტეფნაძე, გიორხელიძე; ჩიქავა, ჭავჭავაძე, ჩიქოვანი (ფირიაშვილი, 72); ხურცილავა, გუმარაშვილი; ლეჟავა, ურუშაძე, ტყეშელაშვილი. — 2ს: ტეფნაძე (14, 28)

3. IX. ვაკე

| | | |
|---|---|---|
| ქორები | 45: 8 | აია |

(16:0). მსაჯი მგელაძე (42 + 48)

ქორები — ზლ: ჯაფარაშვილი (15, 53), ჩაჩუა (31), ასათიანი (48), ალანია (61), სიხარულიძე (71); 3გ: ძნელაძე (54, 62, 72); 2ს: ჩავლეიშვილი (27), ძნელაძე (79); ა: ჩავლეიშვილი (6)

აია — ლ: აბდალაძე (75); ს: ე. ძაგნიძე (56)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 13 | 11 | 0 | 2 | 389: 92 | 54- 6 | 22 |
| გუმარი | 13 | 11 | 0 | 2 | 405:122 | 56-10 | 22 |
| ქორები | 13 | 8 | 0 | 5 | 294:141 | 37-11 | 16 |
| აია | 12 | 7 | 0 | 5 | 348:146 | 40-15 | 14 |
| გელათი | 13 | 6 | 1 | 6 | 173:254 | 11-30 | 13 |
| აზოტი | 12 | 4 | 1 | 7 | 118:269 | 14-39 | 8 |
| ლელო | 13 | 3 | 0 | 10 | 149:355 | 13-50 | 6 |
| დინამო | 13 | 0 | 0 | 13 | 70:515 | 8-72 | 0 |

ყოჩები გუმარს იმად უსწრებენ, რომ ორი მატჩის ჯამში 21:19 ჯობნიან. ცხრილში შეტანილი არაა გელათი — აიასა და დინამო — ლელოს შეხვედრებში გატანილი ლელოები

პირველი ეტაპის ბოლო, XIV ტური დღესა და ხვალ გაიმართება. აზოტი — აიას გამოტოვებული თამაში 8 სექტემბერს მოეწყობა.

11 სექტემბერს მოწინავე ექვსეულის პირველი ტურია, რის შემდეგაც პირველობაზე გამოცხადდება ორკვირიანი შესვენება, რაც გამოწვეულია იმით, რომ 22 სექტემბერს საქართველო პრაღაში ჩეხეთს უნდა ეთამაშოს

## კონტრასტების ტური




ფოტორეპორტაჟი

ჩიქვინიძე დიდებულიძე მჭედლიშვილი პარწიკანაშვილი

**ისა, რომ** სინის მატჩი სანახავად დიდი ვერაფერი შეილი იყო, წინა „სარბიელშიც" გვეწერა. დაძაბულობამ და საზოგადოდ ქართული რაგბის გასაჭირმა მონაწილეებს უკეთესი სეირი ამჯერად ვერ გაამართვინა.

მთავარი მაინც სულ სხვა რამ იყო. სახელდობრ ის, რომ დიდი რაგბი ვაკის სტადიონზე ბრძოლით დაბრუნდა.

ეს მოთელვისასაც ცხადად გამოჩნდა. მორაგბეებში გაიღვიძა მინავლებულმა თავმოყვარეობამ და მათაც ისე, რომ არავის დაკითხვიან და არც დაზარებიათ, მოედნიდან დიდი პატივით გაასვენეს უცხო სხეულები — ფეხბურთის კარები, შუა ლელოებში რომ იყო წამომართული.

მავანს ოვალური ბურთით თამაშის მიმდევართა ამგვარი საქციელი შეიძლება კადნიერებად მოეჩვენოს. აკი კიდეც შეუთვალეს ურჩ გუნდებს, სიტუაციას ნუ გაამწვავებთო, და სასწრაფოდ ლეგენდაც შეთხზეს, ფეხბურთის კარები ახალი დაბეტონებულიაო.

ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, მორაგბეები ეჭვს შეიტანდნენ რკინიგზელ ფეხბურთელთა კეთილსინდისიერებაში. ესენი ხომ მათ უკვე მშვიდობიან თანაარსებობას სთავაზობენ.

საზოგადოების საქმეში ჩაუხედავი ნაწილისათვის აქ შევნიშნავთ, რომ ვაკეში რაგბის თამაშის დროს ფეხბურთის კარს ყოველთვის ხსნიდნენ 1987 წლიდან. ამ ხნის




მანძილზე გამონაკლისი ის სამი შემთხვევა იყო, როცა რაგბს ვაკიდან მცირე ხნით აუკრეს გუდა-ნაბადი.

დაბრუნებულებს სამივეჯერ ფეხბურთის კარი შეაგებეს, თითქოს მიანიშნებდნენ, გახსოვდეთ, რომ ხიზნები ხართ და მეტისმეტად არ გაილაღოთო.

**ამ დღეს** მეორე ძალზედ მნიშვნელოვანი ამბავიც მოხდა. 11 მაისს „ყოჩებმა" რომ წაართვეს „გუმარს" სინი, მათმა ბურჯმა ირაკლი ჩიქავამ პირველმა მიირბინა მოედნის შემომსაზღვრელ ლითონის ბადეზე დაკიდულ ჯილდოსთან და თავისიანებისკენ გაიტაცა.

თამაში რომ დასრულდა, სინთან ამჯერადაც ჩიქავა მივიდა, აიღო და თავაზიანად მიართვა „გუმარელ" ლევან ჩიქვინიძეს, აქაო და ჯილდო დაიმსახურეთ და თქვენიაო. ამგვარი ვაჟკაცობა და დიდსულოვნება დღეს მართლაც რომ ერთობ იშვიათია არა მარტო ქართულ რაგბში, არამედ მთელს ჩვენებურ სპორტში!

**გამოხდა** ერთი დღე და ქვეყნის ჩემპიონი „აია", ვისაც უამრავი პრობლემა აწუხებს, ერთობ სუსტი შემადგენლობით ჩამოვიდა ვაკეს და სარეკორდო ანგარიშითაც დამარცხდა „ქორებთან". გადასარევად იბურთავეს შუა სამეულმა — ალანიამ, ჩხენკელმა და ჩავლეიშვილმა და მესამე ხაზმა — ვართანიანმა, ჯაფარაშვილმა და გიუნაშვილმა, ვინაც ყველაფრის მოთავედ მოგვევლინა.

# კალათბურთი

## კოკა-კოლა შაკილის გამო დაკარგეს

მას შემდეგ, რაც შაკილ ონილი „ორლანდოდან" „ლოს-ანჯელეს ლეიკერზში" გადავიდა, ამ კლუბისა და „კოკა-კოლას" ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. მათ ხუთწლიანი კონტრაქტი ჰქონდათ, რომლის თანახმადაც „კოკა-კოლა" სპონსორობდა „ლეიკერზს", აგრეთვე ჰოკეის გუნდს „ლოს-ანჯელეს კინგზს". ამას გარდა თანამშრომლობდა ამ გუნდების დარბაზთან „გრეით ვესტერნ ფორუმთან".

3 სექტემბერს „კოკა-კოლამ" დაასრულა ხუთწლიანი კონტრაქტი და მის გაგრძელებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ამის მიზეზი კი შაკილია. ამ კალათბურთელს „კოკა-კოლას" მოსისხლე მტერთან „პეპსი-კოლასთან" მრავალწლიანი და მრავალმილიონიანი კონტრაქტი აკავშირებს. „კოკა-კოლას" პრეს-ატაშემ სტივ ქუნინმა სამშაბათს თქვა: „კოკა-კოლასთვის" უაზრობაა სპონსორობაა გაუწიოს იმ გუნდს, რომლის უძლიერესი მოთამაშე ჩვენთვის უსიამოვნო თამაშს თამაშობსო".

## პაქსონი „ბულზს" გამოეთხოვა

35 წლის ჯონ პაქსონი, რომელიც ხალხს იმით დაამახსოვრდება, რომ 1993 წლის ფინალში გადამწყვეტი სამქულიანი ჩაუგდო „ფინიქსს" და „ჩიკაგო ბულზს" ზედიზედ მესამედ მოაგებინა ნბა-ს ჩემპიონობა, საბოლოოდ გამოეთხოვა თავის კლუბს. ბოლო სეზონში, რომელშიც „ბულზმა" კვლავ ჩემპიონობა მოიპოვა, პაქსონი მწვრთნელს თანაშემწედ მუშაობდა.

პაქსონის გადადგომა მოულოდნელი იყო. იგი წარმატებულად მუშაობდა თანაშემწის პოსტზე და ხალხმა უკვე ლაპარაკიც დაიწყო — ფილ ჯექსონის („ჩიკაგოს" მწვრთნელის) მემკვიდრე გვეზრდებაო. ჯონმა კი სულ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და თან კომენტარზეც უარი თქვა.

პაქსონი „ბულზში" 1985 წელს მივიდა. იგი ნბა-ს სამგზის ჩემპიონია. „ჩიკაგოს" გენერალურმა მენეჯერმა ჯერი კრაუზემ მომხდარის თაობაზე განაცხადა: „ჩვენ დამწუხრებულნი ვართ. ვფიქრობდით, ჯონი მესანიშნავი მწვრთნელი დადგებოდა, მაგრამ... პაქსონმა უკეთ იცის, რა უჯობს მას და მის ოჯახს. არადა, ჯონი 12 წელიწადს „ხარი" იყო და იგი კიდევ გვჭირდებოდა, მაგრამ მან წასვლა არჩია. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი მომავალში არასდროს დაგვიბრუნდება".

„ჩიკაგოს" მწვრთნელს ბოლო თვეებში უკვე მეორე თანაშემწე გაექცა. მანამდე ჯიმ კლიმონსმა „დალას მავერიქსის" მწვრთნელად არჩია მუშაობა. ამ დღეებში „ბულზი" ახალ თანაშემწეს დაინიშნავს.

## აგენტთა სიაც გამოქვეყნდა

ნბა-ში გრძელდება თავისუფალ აგენტთა (მოთამაშე, რომელსაც დაუმთავრდა კონტრაქტი კლუბთან და არავის საკუთრებას აღარ წარმოადგენს) გადასვლა გუნდიდან გუნდში. წინა სეზონის დამთავრებიდან დღემდე გუნდებმა ეს თავისუფალი აგენტები დაიმატეს (ფრჩხილებში მითითებული კლუბი, რომლიდანაც მოთამაშე მოვიდა. ვისაც ფრჩხილი არ უზის, მან გააგრძელა კონტრაქტი ძველ კლუბთან).

ატლანტა: დიკემბე მუტომბო (დენვერი), სტივ სმიტი, დონი ბოისი, ჯონ ბერი (გოლდენ სტეიტი)

ბოსტონი: ფრენკ ბრიკოვსკი (სიეტლი), გრეგ მაინორი, ალტონ ლისტერი

ჩიკაგო: მაიკლ ჯორდანი, დენის როდმანი

კლივლენდი: ანტონიო ლენგი, დონი მარშალი

დალასი: ქრის გეტლინგი (მაიამი), დერიკ პარპერი (ნიუ-იორკი)

დეტროიტი: მაიკლ კარი, დონ რეიდი, რიკ მაჰორნი (ნიუ-ჯერსი), ოთის თორფი

დენვერი: დეილ ელისი, ერვინ ჯონსონი (სიეტლი), ბრაიან სტისი

გოლდენ სტეიტი: მარკ პრაისი (ვაშინგტონი), ლატრელ სპრიუელი

ჰიუსტონი: ბრენტ პრაისი (ვაშინგტონი), მარიო ელი, კევინ ვილისი (გოლდენ სტეიტი)

ინდიანა: დეილ დევისი, ანტონიო დევისი, ფრედ ჰოიბერგი, ჯერომ ალენი (მინესოტა)

ლეიკერზი: შონ რუქსი (ატლანტა), შაკილ ონილი (ორლანდო), ელდენ კემპბელი, ჯერომ კერსი (გოლდენ სტეიტი)

მაიამი: ფი-ჯეი ბრაუნი (ნიუჯერსი), ტიმ ჰარდევეი, ალონზო მურნინგი, გერი გრანტი (ნიუ-იორკი), დან მარლი (კლივლენდი)

მილუოკი: არმონ გილიამი (ნიუ-ჯერსი)

ნიუ-ჯერსი: რობერტ პეკი (ვაშინგტონი), ვინსენტ ესკიუ (სიეტლი), დევიდ ბენუა (იუტა)

ნიუ-იორკი: ქრის ჩილდზი (ნიუ-ჯერსი), ალან ჰიუსტონი (დეტროიტი), ბაკ ვილიამსი (პორტლენდი)

ორლანდო: ჰორას გრანტი, ჯერალდ ვილკინსი (ვანკუვერი), დერიკ სტრონგი (ლეიკერზი)

ფილადელფია: დონ მაკლინი (დენვერი), ლუციუს პარისი (დალასი), მაიკლ კეიჯი (კლივლენდი)

ფინიქსი: ჯონ ქოქერი

პორტლენდი: კენი ანდერსონი (შარლოტი), დონტონიო ვინგფილდი

სან-ანტონიო: ვერნონ მაქსველი (ფილადელფია)

სიეტლი: გერი პეიტონი, სემ პერკინსი, ჰერსი ჰოკინსი, სტივ შეფლერი, ჯიმ მაკილვაინი (ვაშინგტონი), კრეიგ ილო (ატლანტა)

ტორონტო: უოლტ ვილიამსი (მაიამი)

იუტა: ჰოვარდ აისლი, გრეგ ფოსტერი

ვაშინგტონი: ტრეისი მიურეი (ტორონტო), ქრის ვითნი, ლორენცო ვილიამსი (დალასი), ჯუონ ჰოვარდი

ვანკუვერი: ლი მაიბერი (მილუოკი)

# ჭიდაობა

## ვერ გვასახელეს

პოლონეთში გამართულ იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ქართველი ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები უმედლოდ დაბრუნდნენ. ჩვენი ფალავნები ცალკე უილბლობის და ცალკე ტრავმების მსხვერპლნი გამხდარან. ქართველთაგან საუკეთესო შედეგისთვის — მეექვსე ადგილისთვის ბათუმელ ჩხაიძეს მიუღწევია. სულ მსოფლიო ჩემპიონატზე ცხრა ჩვენებური იყო. ამ შეჯიბრებაზე საქართველოს გუნდი შეკრების გარეშე გაემგზავრა.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნით ადრე საქართველოს კადეტათა ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში წარმატებით გამოვიდა ირანში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. დავით ოთიაშვილი (95 კგ) ჩემპიონი გახდა, გიორგი ირემაძე (55) და გიორგი გობეჯიშვილი (70) კი ბრინჯაოს პრიზიორები.

## გულიაშვილი გერმანულ კლუბში

მარტყოფელი ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე კობა გულიაშვილი (მეოთხე ადგილი — ატლანტაში) ვარჯიშსა და ასპარეზობას გერმანიაში, ქალაქ კირლახის კლუბში გააგრძელებს. კობა ბუნდესლიგის ჩემპიონატში დაიცავს „კირლახის" ღირსებას.

გულიაშვილმა გერმანიაში შარშანდელი შეკრების დროს გაიცნო „კირლახის" მწვრთნელი და პრეზიდენტი, ხოლო ოლიმპიადის შემდეგ უკვე კონტრაქტიც გააფორმა. კობა უკვე გაეცნო გერმანიაში ცხოვრებისა და ვარჯიშის პირობებს. იგი იცხოვრებს სასტუმროში და ახლომდებარე დარბაზში ივარჯიშებს. ამჟამად გულიაშვილი საქართველოშია, იგი გერმანიის საელჩოდან სამუშაო ვიზის მიღებას ელის. როგორც კი საბუთებთან დაკავშირებული ფორმალობები მოგვარდება, იგი გერმანიას გაემგზავრება და ბუნდესლიგის ჩემპიონატშიც ჩაებმება. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებში გამოსვლას: გერმანული კლუბი ვალდებულია, ყოველი ტურნირისა თუ შეკრების წინ დაუბრკოლებლად გამოუშვას გულიაშვილი საქართველოში.

## „თავისუფლებმა" მზადება დაიწყეს

2 სექტემბერს საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების წევრებმა და კანდიდატებმა თბილისში, ფალავანთა კლუბში დაიწყეს ინტენსიური წვრთნა. მანამდე ზოგიერთი ცალკე ვარჯიშობდა, ახლა კი ყველა გუნდის მთავარი მწვრთნელის — გია გალდავას მეთვალყურეობით ვარჯიშობს. როგორც გალდავამ გვაცნობა, წვრთნას გადიან ყველა ასაკის მოჭიდავეები — უფროსებიც, ახალგაზრდებიც და კადეტებიც. ნაკრები ემზადება ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც თბილისში მოეწყობა 27-29 სექტემბერს. საქართველოდან მოსალოდნელია ერთი ოლიმპიელის, ატლანტის ბრინჯაოს პრიზიორის ელდარ კურტანიძის მონაწილეობა. ელდარი ამჟამად შინ, ლაგოდეხშია და ფიზიკურად ემზადება.

ბალავაძის სახელობის ტურნირისთვის საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ 20 ქვეყანაში გააგზავნა მოწვევა. ვარაუდობენ, რომ წინა წლებთან შედარებით ტურნირი გაცილებით წარმომადგენლობითი იქნება.

# ძიუდო

## ლიპარტელიანმა ბინა იყიდა

ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა სოსო ლიპარტელიანმა სამთავრობო ფულადი ჯილდოთი თბილისში, საბურთალოზე, ოროთახიანი ბინა იყიდა. შეგახსენებთ, რომ მის გეგმაში დაოჯახებაც შედის. არ ვიცით, როდის მიიღებს სოსო თავის ცხოვრებაში ამ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, მაგრამ გპირდებით: როგორც კი გაბედნიერდება, მაშინვე გაცნობებთ.

## ევრო-გუნდურზე არ მივდივართ?

ოქტომბერში სანკტ-პეტერბურგში ევროპის გუნდური ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. საქართველოს ნაკრები ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას ალბათ არ მიიღებს. როგორც შევიტყვეთ, მიზეზი ცალკე უფულობაა, ცალკე კი ის, რომ ძიუდოისტებს წონის დაკლება უჭირთ და ამიტომაც ტურნირს ალბათ გამოტოვებენ. საბოლოოდ ყველაფერი ამ დღეებში გაირკვევა.

## ახალგაზრდები მსოფლიოზე

ოქტომბრის დამდეგს პორტუგალიაში გაიმართება მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი, სადაც ქართველებიც იჭიდავებენ. გუნდის მთავარი მწვრთნელის ჯემალ ნათელაშვილის თქმით, ნაკრების შემადგენლობა ჯერ არ დადგენილა. 11 სექტემბერს გაიმართება საქართველოს ჩემპიონატი და გამარჯვებულები მსოფლიოს ჩემპიონატზე წავლენ.

## კრივი

# მშვიდობით, ჩვენო ბრუნო!

კრივს გამოეთხოვა კაცი, ვინაც დიდი ჩემპიონი არ ყოფილა, მაგრამ ნაღდ ჯენთლმენად იცნობდნენ და განურჩევლად რასისა თუ სოციალური წარმოშობისა, უმეტეს ბრიტანელს უყვარდა.

34 წლის მძიმეწონოსანმა ფრენკ ბრუნომ პარასკევს გამოაცხადა, რომ მანჩესტერის სამეფო თვალის კლინიკის პროფესორ დევიდ მაკლეოდის დაჟინებით მეტს აღარ იკრივებს, რადგანაც საკმარისი ყოფილა ერთი დარტყმა, რომ ფრენკს მარჯვენა თვალის ბადურა გარსი ჩამოეშლება და დაბრმავდება.

ეს რომ შეიტყვეს, ბრუნოს ამჟამინდელმა მენეჯერებმა — ფრენკ ვორენმა და ბარი ჰერნმა შვებით ამოისუნთქეს, როგორც იქნა, დასრულდა ჩვენი უიღბლო შეგირდის კარიერაო.

ბრუნოს მოკლე ბიოგრაფია ასეთია:

დედა იამაიკელი ჰყავდა, მამა — დომინიკის რესპუბლიკელი. 11 წლისა სკოლიდან გარიცხეს და გამოსასწორებლად გააგზავნეს. სწორედ იქ მიჰყო ხელი კრივს და კაცი გახდა. ამასთან, მშენებლობაზე მუშაობდა მზიდავად.

პროფესიონალი 1982 წელს გახდა. საამისოდ დიდი წინაღობის გადალახვა მოუხდა. საქმე ისაა, რომ ფრენკი ბეცი იყო. საოპერაციოდ ან მოსკოვს უნდა გამგზავრებულიყო, ან შორეულ კოლუმბიას. იმ დროს სსრკ-ში ჩასვლა ჭირდა. ჰოდა, ბრუნოს იმდროინდელმა პატრონებმა — თერი ლოლესმა და მიკი დაფმა დააფინანსეს და სამხრეთი ამერიკის გზას გაუყენეს.

ფრენკმაც მალე აანაზღაურა დანახარჯი — ზედიზედ დაამარცხა მეტოქეები, გახდა ევროპის ჩემპიონი, ბოლოს კი სამხრეთაფრიკელ ჯერი კოტცეს მოუგო შესარჩევი ჩხუბი და 1986 წელს ასოციაციის (ვბა) ტიტულს შეეცილა თიმ ვიზერსფუნს.

მანამდე ბრუნოს ერთადერთხელ წააგო — ჯეიმზ სმითთან, ვისაც ცხრა რაუნდიდან ყველა მოუგო, მაგრამ მეათეში თავად იწვნია ნოკაუტი.

ფრენკმა ვიზერსფუნს ტოლი არ დაუდო, მაგრამ მე-11 რაუნდში ყბაში მაგრად მოხვდა და ისევ ნოკაუტით დამარცხდა. კრიტიკოსები ამბობენ, ჯობდა, მაშინ წასულიყო კრივიდანო.



ბრუნომ მაინც გააგრძელა, დაამარცხა ჯო ბაგნერი, 1989 წელს კი მაიკლ ტაისონს შეერკინა. პირველ რაუნდში მარცხნიდან ჰუქიც უთავაზა, მაგრამ მეხუთეში ისევ ნოკაუტში აღმოჩნდა. მაშინ ისევ დაიშავა თვალი და წელიწადნახევარი მკურნალობას მოანდომა. ამის შემდეგ ექიმებს ძლივს დასტყუა პარგისიანობის ცნობა და მოკრივის ლიცენზია აღიდგინა.

1993 წელს ბრუნომ მესამედ შებედა ვბა-ის ჩემპიონის სარტყელს, მაგრამ მე-7 რაუნდში წააგო ლენოქს ლუისთან. მეოთხე ცდა წარმატებული გამოდგა: შარშან, 2 სექტემბერს, უემბლიზე ბრუნომ აზლოს არ გაიკარა ვბა-ის ახალი ჩემპიონი ოლივერ მაქქოლი და 12-რაუნდა შერკინება ქულებით მოუგო, მაგრამ კრივიდან არც მაშინ წავიდა და წელს, 16 მარტს, ლას-ვეგასში მესამე რაუნდში ნოკაუტი იწვნია ტაისონისაგან.

კეთილშობილი ფრენკი ასპარეზობას კიდევ აპირებდა, მაგრამ ახლა ექიმებს დაუჯერა. რომ ჰკითხავდნენ, რისთვის კრივობო, პასუხობდა:

ჩემი ოჯახისათვის, ჩემთვის, დედოფლისა და ფულისთვისო.

დედოფლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბრუნომ ფული უკვე იმდენი მოაგროვა, რომ მილიონერია და ახლა შეუძლია ხელი მოჰკიდოს ტელე-კომენტატორობას, რეკლამასა და პანტომიმას.

სულ ბრუნომ 16 წლის მანძილზე 45 შერკინება გამართა. მოიგო 40, წააგო 5. ვბა-ის ბოლო სიაში ტიტულის მესამე პრეტენდენტად ირიცხებოდა.

## ავტორბოლა

INDYCAR

## ინდიკარის მსოფლიო სერიალი



# ანდრეტი მარაკაში გაიჭრა

### XIV ეტაპი

18 აგვისტოს, ელკარტ-ლეიკის ტრასაზე „ტექსაკო-ჰავოლაინის" 200-მილიანი რბოლა ჩატარდა.

პოულიდან სტარტი იტალიელმა ზანარდიმ (რჰ) აიღო. პირველსავე მოსახვევში ბრაზილიელმა ჟილ დე ფერანმა (რჰ) გარე მხრიდან სცადა მისი გასწრება, მაგრამ ვერ მოზომა, მოწინააღმდეგეს წამოედო და ტრასის გარეთ ხრეშში აღმოჩნდა, რის შედეგადაც ტრასა მტვრითა და კენჭებით დაიფარა. დანიელმა იან მაგნუსენმა ვერ დაიმორჩილა თავისი პმ და მანაც იგივე ადგილას დაამთავრა რბოლა.

მე-8 წრეზე კანადელი პოლ ტრეისიც (პმ) ტრასაზე შემოტანილი მტვრის მსხვერპლი გახდა: ტრასიდან გადავიდა, თუმცა მოახერხა თაეი დაეღწია „ხნულებისათვის" და საბურავების გამოცვლის შემდეგ რბოლა გაგრძელა. შემდეგი ინციდენტი მე-14 წრეზე მოხდა: კანადელი გრეგ მური (რმ) და ბრაზილიელი ანდრე რიბეირო (ლჰ) მოსახვევში ერთდროულად შევიდნენ, მაგრამ ადგილი არ ეყოთ და კანადელი ბარიერს შეეჯახა, კარგა ხანს მის გასწვრივ ისრიალა და მანაც ხრეშში დაასრულა ასპარეზობა. ცოტა ხანში დეივ ჯონსმა ვერ შეაკავა თავისი ლმ, საბურავების ბარიერს შეეჯახა და თავდაყირა დაეცა. მომსახურე პერსონალმა ავტომობილი გადმოაბრუნა და უვნებელი პილოტი კოკპიტიდან ამოძვრა.

ყველაზე სახიფათო ავარია მე-18 წრეზე მოხდა, როდესაც ბრიტანელმა მარკ ბლანდელმა (რფ) რიბეიროს გაასწრო. ამ უკანასკნელმა იქვე სცადა დაკარგული პოზიციის დაბრუნება, მაგრამ ვერ შეამჩნია, რომ ამ დროს მას ბრაზილიელი მაურიციო გუჟელმინი (რფ) უტევდა. თანამემამულეები ერთმანეთს შეეჯახნენ და „ჩახუტებულებმა" გუჟელმინის თანაგუნდელი ბლანდელი „გაატარანეს". ამის შემდეგ ავარიები თითქოს შენყდა, მაგრამ ბოლო წრეზე პარკერ ჯონსტონი (რჰ) მოცურდა, ტრასის მილმა აღმოჩნდა და თავდაყირა დაერჭო. საბედნიეროდ, არც ეს პილოტი დაშავებულა.

ფინიშამდე 29 წრე რომ რჩებოდა, ლიდერობა ანსერმა იგდო ხელთ, პიტ-სტოპის დროს მხოლოდ 3 წრით გადააბარა მდევრებს და 38-ე წრეზე კვლავ დაიბრუნა პირველობა. მეორეზე ბრაზილიელი კრისტიან ფიტიპალდი (ლფ) იყო და ლიდერის დაწევას ცდილობდა, მაგრამ 45-ე წრეზე ძრავმა უმტყუნა და რბოლას გამოეთიშა. ამის შემდეგ ანსერისთვის თითქოს ხელი ვერაფერს უნდა შეეშალა სეზონის პირველი გამარჯვების მოპოვებაში. იგი 1,22 წამს (დაახლოებით 10 ავტომობილის სიგრძეს) უგებდა მეორეზე მყოფ მაიკლ ანდრეტის (ლფ), როდესაც მსაჯებმა ბოლო წრის მაჩვენებელი თეთრი ალამი გამოფინეს. ანსერს ფინიშამდე ორი მოსახვევიღა რჩებოდა გასავლელი, როდესაც პმ-ის ძრავმა ბოლი აუშვა, ლიდერი ტრასის მილმა გადავიდა და გაჩერდა. პირველობა ანდრეტის დარჩა, რომელმაც მეორეზე გასულ რაჰალს (რმ) 0,541 წამი (დაახლოებით 7 სიგრძე) მოუგო. მესამე ზანარდი იყო. მას შევდი სტეფან იოჰანსონი (რმ), ბრაიან ჰერტა (რმ) და ჯიმი ვასერი (რჰ) მიყვნენ; ანსერს X ადგილი ერგო.

„ნამდვილად მრცხვენია, თავს უხერხულადაც ვგრძნობ ალის წინაშე, მაგრამ მეც რამდენიმე ასეთი გამარჯვება მიჩუქნია მისთვის" — განაცხადა რბოლის შემდეგ გამარჯვებულმა.

### XV ეტაპი

ორი კვირის შემდეგ პილოტები ვანკუვერის 10-მოსახვევიან, 1,703-მილიან ტრასაზე შეიკრიბნენ. პარასკევს, 30 აგვისტოს, პირველი საკვალიფიკაციო რბოლაში ყველაზე სწრაფი ანდრეტი გახლდათ — 111,616 მილ-სთ (ტრასის რეკორდი). მეორე ბრაიან ჰერტა (რმ) იყო — 111,610, მესამე კი ანსერი — 111,460 მილ-სთ. წინა ორ ეტაპის პოულის მფლობელი ზანარდი მხოლოდ XII გახლდათ — 110,289 მილ-სთ, ჩემპიონატის ლიდერი ვასერი კი XVII — 104,390 მილ-სთ.

შაბათს ანდრეტის რეკორდი 12 პილოტმა (მათ შორის თვით მაიკლმაც) გააუმჯობესა და ზანარდიმაც (113,576 მილ-სთ) ზედიზედ მესამე პოული მოიპოვა. მეორე ანდრეტი იყო — 112,526 მილ-სთ.

კვირას, რბოლაში სტარტი ყველაზე უკეთ ზანარდიმ აიღო, და მანამ ლიდერობდა, სანამ მე-18 წრეზე, ერთი წრით ჩამორჩენილ „ინდის" ერთ-ერთ ახალბედა პ. ჯ. ჯონსს (იტ) არ წამოეწია. ამ უკანასკნელმა ბოლო მოსახვევის წინ ძალიან ადრე დაამუხრუჭა, ზანარდიმ მისი გვერდის ავლა ვერ მოახერხა, მოწინააღმდეგის მანქანას წამოედო, ორ ბორბალზე დადგა, პილოტის მუზარადით და დამცველი რკალით ტრასის ბარიერს შეეხო, კვლავ ოთხ თვალზე დადგა და გაცურდა. იტალიელი რბოლას გამოეთიშა, პირველი ადგილი კი ანდრეტის ჩააბარა, რომელმაც ლიდერობა ალარავის დაუთმო და ამ სეზონში მეხუთე (კარიერაში კი 35-ე) გამარჯვება იზეიმა და ერთ საპრემიო ქულაც მიიღო რბოლაში ყველაზე დიდ ხანს ლიდერობისათვის.

ჩემპიონატის ლიდერი ჯიმი ვასერი „სტოპ-ენდ-გოუ"-თი დაჯარიმდა ბოქსებში სიჩქარის 2 მილ-სთ-ით გადაჭარბებისათვის და საბოლოოდ VII ადგილზე აღმოჩნდა. მეორე ადგილი რაჰალს ერგო, მესამეზე კი ანდრეტის თანაგუნდელი კრისტიან ფიტიპალდი გავიდა. ჩემპიონობის კიდევ ერთმა კანდიდატმა — ანსერმა რბოლა V ადგილზე დაამთავრა. საბოლოოდ ასპარეზობა 14 პილოტმა, მათ შორის ზანარდის „დამჩაგრავმა" ჯონსმა (XIII ადგილი) დაასრულა.

ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ეტაპიღა დარჩა (8 სექტემბერი, ლაგუნა-სეკა, კალიფორნია), ტიტულის მაძიებლებს კი კიდევ ერთი პილოტი — მაიკლ ანდრეტი შეემატა, რომელიც ვასერს 14 ქულით ჩამორჩება, მესამე ადგილზე მყოფი ანსერი კი 17 ქულას აგებს ლიდერთან. ჩემპიონობის მოსაპოვებლად ანდრეტისა და ანსერს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ, ვასერს კი V ადგილიც აკმაყოფილებს. ახალბედას ტიტულს უეჭველად ალექს ზანარდი მოიპოვებს.

15 ეტაპის ჯამი: ვასერი (რჰ) 142 ქულა; ანდრეტი (ლფ) 128; ანსერი (პმ) 125; ზანარდი (რჰ) 110; კრ. ფიტიპალდი (ლფ) 107; დე ფერანი (რჰ) 104; ...

**ალეკო ჭაბუკიანი**

| შასი | | ძრავი | |
|---|---|---|---|
| პ | — პენსკე | ფ | — ფორდი |
| ლ | — ლოლა | მ | — მერსედესი |
| რ | — რეინარდი | ჰ | — ჰონდა |
| ი | — იგლი | ტ | — ტოიოტა |

## ჩოგბურთი

### აშშ-ის ღია პირველობა

# აგასი შოუს გვპირდება

#### დღე მერვე

ორშაბათი, 2 სექტემბერი

მზიანი და ცხელი დღე იყო, მაგრამ ნიავიც ქროდა. სანჩესთა მთელმა ოჯახმა ჯერ ნერვები დაიწყვიტა იმით, რომ არანჩამ წააგო, მაგრამ მერე ხავიერმა გაიმარჯვა და ამათაც გულზე მოეშვათ.

ვაჟები

მერვედფინალი. ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) — არნო ბეჩი (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (7-5), 7:6 (7-3). 28 წლის ესპანელი მსოფლიოში 28-ე ჩოგანია. აშშ-ის პირველობაზე მეოთხედფინალში ერთხელ — 1991 წელს უკვე გასულა

მაიქლ ჩანგი (აშშ, 2) — იაკობ ჰლასეკი (პოლანდია) 6:3, 6:4, 6:2 (საათსა და 47 წუთში)

თომას მუსტერი (ავსტრია, 3) — თომას ენკვისტი (შვედეთი, 13) 7:6 (7-4), 6:2, 4:6, 6:1 (2 საათსა და 25 წუთში). მუსტერს 39 უნებლიე შეცდომა მოუვიდა, ენკვისტს — 74!

ანდრე აგასი (აშშ, 6) — დევიდ ვითონი (აშშ) 4:6, 6:2, 6:3, 6:4 (2 საათსა და 25 წუთში). აგასი ოდენ 17-ჯერ შეცდა, მეტოქე კი — 61-ჯერ! ანდრემ კმაყოფილმა შენიშნა, ამ ზაფხულს მშვენიერ ფორმაში ვარო. ახლა მეთიხნარე მუსტერთან მოუწევს ხისტ კორტებზე თამაშში უპირატესობის დამტკიცება.

ქალები

მერვედფინალი. შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:2, 6:1 (51 წუთში). 15 წლის რუსმა გოგომ გრაფს პირველსავე გეიმში მოწოდება მოუგო, მაგრამ მეტი ველარ გაუძალიანდა. გრაფმა ბრძანა, კარგია, რომ მომავალი თაობა უკვე გამოჩნდაო. ამ დროს პინგისიც იგულისხმა. ამ გამარჯვებით გრაფი მესამე ადგილზე გადავიდა აშშ-ის პირველობაზე ნათამაშევი თამაშებითა და გამარჯვებებით

იუდით ვიზნერი (ავსტრია) — რიტა გრანდე (იტალია) 6:0, 6:3. 30 წლის ვიზნერი 36-ედ თამაშობს დიდი სლემის შეჯიბრში, მეოთხედფინალს კი პირველად უწია

მარტინა პინგისი (შვეიცარია, 16) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 3) 6:1, 3:6, 6:4 (საათსა და 45 წუთში). სკანდალური და შეცდომებით მოცული მატჩი იყო. პინგისი 33-ჯერ შეცდა, სანჩესი — 52-ჯერ! მეორე ხელში, ანგარიში 3:3 რომ იყო, მსაჯმა ესპანელის სასარგებლოდ შეცვალა პირვანდელი გადაწყვეტილება. ამან 15 წლის შვეიცარიელი გოგო გაანერვიულა და გადამწვეტ ხელში 0:2 ჩამორჩა. მერე პინგისმა მაინც იძალა 5:3, მაგრამ არანჩამ ბრეიქი გააბერხა. ამჯერად მსაჯმა პინგისის მხარე დაიჭირა, მატჩ-პოინტი კი გადაითამაშეს, ვინაიდან ამ დროს ქარმა მოედანზე პლასტმასის ბოთლი გადმოაგდო.

იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 7) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი, 17) 6:2, 6:0



კონჩიტა მარტინესმა კი დაანგრია ვინმე ვაილდი, მაგრამ ახლა სელეში ელის

როიტერს-ის ფოტო

#### დღე მეცხრე

სამშაბათი, 3 სექტემბერი

ვაჟები

მერვედფინალი. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 4) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:4, 3:6, 6:3, 7:6 (7-2) (2 საათსა და 11 წუთში). გორანმა პირველი მოწოდებების მხოლოდ 48 პროცენტი მოახვედრა მეტოქის მოედანს, მაგრამ მაინც გაიმარჯვა და პირველად მიაღწია აშშ-ის პირველობის მეოთხედფინალს

სტეფან ედბერგი (შვედეთი) — თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:7 (2-7), 7:6 (7-2), 6:4, 6:4 (3 საათსა და 8 წუთში). 30 წლის ლონდონელმა შვედმა, თამაშს რომ თავს ანებებს, გათიშა აქამდე ერთობ დაკნინებული ბრიტანული ჩოგბურთის მთავარი იმედი

პიტ სამპრასი (აშშ, 1) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:3, 6:3, 6:4. დიდ მო-ეის-ეთა მორიგ, მეოთხე დიდ-სლემურ შეხვედრაში სამპრასმა მესამედ მოიგო. მან ოთხი ბრეიქი შეიძლო, ავსტრალიელ „სკადს" კი ერთიც არ დაანება

ალექს კორეჩა (ესპანეთი) — გი ფორჟე (საფრანგეთი) 6:4, 6:3, 7:6 (7-5)

ქალები

მეოთხედფინალი: კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 4) — ლინდა ვაილდი (აშშ) 7:6 (8-6), 6:0 (საათსა და 24 წუთში). მარტინესი თაი-ბრეიქს 3-6 აგებდა, მაგრამ მდგომარეობა რომ გამოასწორა, მეტოქე ფაქტობრივად დანებდა

მონიკა სელეში (აშშ, 2) — ამანდა კეტცერი (სამხრეთი აფრიკა) 6:0, 6:3 (48 წუთში). მონიკამ მეტოქეს პირველ ხელში სულ რაღაც 5 ქულის მოგება დაანება

ნუხელ ითამაშებდნენ: გრაფი (1) — ვიზნერი და ნოვოტნა (7) — პინგისი (16)

ვაჟთა მეოთხედფინალები: ჩანგი (2) — სანჩესი, მუსტერი (3) — აგასი (6); ივანიშევიჩი (4) — ედბერგი, სამპრასი (1) — კორეჩა

#### შტიხსაც წყალი შეუდგა

შტეფი გრაფისა არ იყოს, მიხაელ შტიხის შემოსავლებითაც დაინტერესდა საგადასახადო ინსპექცია, ოღონდაც ავსტრიისა, რადგან ეს გერმანელი ვარსკვლავი 1992 წლიდან ზალცბურგში სახლობს.

ქალთა გუნდური შეჯიბრის — ფედერაციის თასის ფინალი 28-29 სექტემბერს გაიმართება ატლანტიკ-სითიში. იქ აშშ უმასპინძლებს ბოლო სამი წლის ჩემპიონ ესპანეთს. აშშ-ის ღია პირველობაზე გაიმართა საგაისო შეჯიბრის წილისყრაც. მსოფლიო ჯგუფის მეოთხედფინალში, 1-2 მარტს, პოლანდია უმასპინძლებს აშშ-ს, გერმანია — ჩეხეთს, იაპონია — საფრანგეთს, ხოლო ბელგია — ესპანეთს. ნახევარფინალები გაიმართება 12-13 ივლისს, ფინალი კი — 4-5 ოქტომბერს.

## ველოტრეკი

# მანჩესტერულ [illegible]



კვირას მანჩესტერის ახალ ველოდრომზე მსოფლიო პირველობა რომ დამთავრდა, ფრანგების ტოლი და სწორი არავინ აღმოჩნდა. 12 ოქროდან ოთხი მათ ერგოთ. ორ-ორი სახეში გახდნენ ჩემპიონები იტალია და ავსტრალია, თითოში — ბრიტანეთი, რუსეთი, ესპანეთი და აშშ.

თავი ისახელა 25 წლის ფრანგმა ქალმა ფელისია ბალანჟემ. მან პარასკევს გასწრების (სპრინტის) ფინალში 2-0 დაამარცხა გერმანელი ანეტ ნოიმანი და ოლიმპიურ ოქროს მედალს მსოფლიო ჩემპიონობაც დაურთო, შაბათს კი 500 მეტრზე სიმარდის შეჯიბრში ბოლო გავიდა საასპარეზოდ და იმავე ნოიმანის შედეგი გააუმჯობესა, რითაც სპრინტერული დუბლი შეასრულა.

პარასკევსვე ქულებისათვის ქალთა 24-კილომეტრიანი რბოლა მოიგო რუსმა სვეტლანა სამოხვალოვამ, ვისაც დიდად შეეწია თანამემამულე გულნარა ფატკულინა. ფინალში მხოლოდ რუსებს ჰყავდათ ორი მრბოლი და შანსიც ხელიდან არ გაუშვიათ — ამერიკელი ჯეინ ქვიგლი მეორე ადგილზე დატოვეს.

პარასკევს, 4 კილომეტრზე გუნდურ დევნაში იტალიამ (ალდერ კაპელი, კრისტიანო ჩიტო, ანდრეა კოლინელი, მაურო ტრენტინო) ნახევარფინალში რუსეთი დაამარცხა და თუმც მწვრთნელი უყვიროდა, არ გინდათო, მაინც დაამყარა (ფოტოზე) მსოფლიო რეკორდი 4.00,958. ფინალში იტალიამ ოლიმპიადის გამარჯვებული საფრანგეთი დაამარცხა, მაგრამ რეკორდი ველარ გააუმჯობესა.

შაბათს 3 კმ-ზე დევნის მონაწილე ქალებმა ოთხჯერ გააუმჯობესეს მსოფლიო რეკორდი, რაც უდაოდ შოტლანდიელი გრემ ობრის დამსახურებაა: სწორედ მან მოიგონა მრბოლის ახალი პოზა „სუპერმენი", მდევრებს რომ ლიანგურად გადაუღიათ. კვირას, ფინალში, ფრანგმა მარიონ კლინიემ დაამარცხა ავსტრალიელი ლუსი თაილერ-შარმანი, ვაჟთა გასწრების ფინალში კი ასევე ფრანგმა ფლორიან რუსომ 2-0 აჯობა ამერიკელ მართი ნორსთინს.

კვირას ვაჟთა 40 კმ-იან რბოლაში ესპანელმა როზელო იარენასმა და დანიელმა მიხაელ სანდსტოდმა ქულები თანაბრად დააგროვეს. ესპანელმა გაიმარჯვა იმით, რომ მეტ წრეზე პირველობდა. შარშანდელმა ჩემპიონმა მარტინელომ გამარჯვებულებზე მეტი ქულა კი მოაგროვა, მაგრამ მათ ერთი წრით ჩამორჩა.


„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29